ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 21 დეკემბერი, 2020 №259 (8523) ფასი: 60 თეთრი

თეონა თამაზაშვილი: „როგორი ჯოჯოხეთიც მოემიწყვეს, ისეთი ჯოჯოხეთი მოეწყობა მათაც“

გვ.5

„ოცნება“ რაც უფრო სულელურ გადაწყვეტილებას მიიღებს, მით მკაცრი რეაქცია ექნება დასავლეთის“

სალომე სამადაშვილი: „ჰარცელის განცხადება ხელისუფლების მისამართით ხისტი გზავნილი იყო“

გვ.2

„ივანიშვილმა ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის გზა მოჭრა“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „საქართველოში ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის დამყარებას რევოლუცია მირჩევნია“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „თბილისში თუკი სადმე მიწის ნაგლეჯია დარჩენილი, მერია გასცემს ნებართვას და კორპუსები შენდება“

გვ.2

გვ.3

ზოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ ისეთი კეთილოვანი გახდა, რომ მას ოპოზიციონერები ვერ ეკარებიან“

„მოვუწოდებ კალაძეს, მოგვეცით საშუალება, რომ ვისუნთქოთ!“

გვ.2

დვალი და აქიმიძე წულუკიანის წინააღმდეგ

„რუსთავი 2“ მის კანონიერ მესაკუთრეებს არ დაბრუნებია“

ვახტანგ გომელაური: „სამართალდამცველთა ძალისხმევით, გასულ წელთან შედარებით, დანაშაული შემცირდა 10 პროცენტით“

გვ.4

ISSN 1987-9385

3 ნიკა მელია თუ ლევან ვარშალომიძე — ნაციონალები პარტიის თავმჯდომარეს ელექტრონული წესით აირჩევენ

5 29 წლის გიორგი მერაბიშვილი გლდანულაში ხელყუმბარის აფეთქებით იმუქრებოდა

5 17 წლის რ.6-ს დახმარებით სხვადასხვა ანგარიშებიდან 72.500 ლარი მოიპარეს

6 ნეთანიაჰუმ კოვიდ 19-ის აცრა პირდაპირ ეთერში გაიკეთა

„მოვუწოდებ კალაძეს, მოგვეცით საშუალება, რომ ვისუნთქოთ!“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „თბილისში თუკი სადმე მიწის ნაგლეჯია დარჩენილი, მერია გასცემს ნებართვას და კორპუსები შენდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.

— პატონო ნიკოლოზ, საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აფრიკის დასახლებაში თბილისის მერის გადაწყვეტილებამ მოსახლეობისათვის მშენებარე სახლების თაობაზე. როგორც მერი აცხადებს, ეს უკანონოდ მიტაცებული მიწები იყო. როგორც უფლებადამცველი, როგორია თქვენი პოზიცია? საუბარია, რომ წინასაარჩევნოდ მათ დაჰპირდნენ ამ მიწის ნაკვეთების გადაფორმებას. რა ხდება? რასთან გვაქვს საქმე?

— ამ რთულ პერიოდში, როდესაც ადამიანებს ისედაც უმძიმესი ყოფა აქვთ, ურთულესი სოციალური და ეკონომიური მდგომარეობაა ქვეყანაში და ადამიანებს სახლები დაუნგრიო, სუფთა ადამიანური თვალსაზრისით, გამართლებული არაა. გუშინ მილანში ასობით ადამიანი იდგა ქუჩაში და უფასოდ საკვებს არიგებდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, მილანში, რომელიც უმდიდრესი ქალაქია და ძირითადად შეძლებული მოსახლეობა ცხოვრობს. ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ასეულობით ადამიანს დახმარებოდა. ჩვენს ქვეყანაში კი რა ხდება?! ისედაც სამსახურები არ აქვს ხალხს, გაჭირვებაში ცხოვრობენ, ახლა საერთოდ უმუშევრები დარჩნენ და სახლებიც დაუნგრიეს.

— თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ გაფრთხილეს მოსახლეობა.

— ამ ხელისუფლებას, საერთოდ, კომუნიკაცია აკლია მოსახლეობასთან. გამოდიან და აცხადებენ, რომ ჩვენ ვუთხარით ამ ხალხს, რომ უნდა დაგინგრიოთო. თუ ასეა, გადაეღოთ ეს ვიდეოკადრები და შეენახათ მტკიცებულება და ეთქვათ მერე, რომ მართლაც გააფრთხილეს და არ გაითვალისწინესო. წინასაარჩევნო დაპირებები კი არ უნდა გაეცათ. კი, ბატონო, ნამდვილად არ არის სწორი, რომ სახელმწიფო მიწაზე, ვისაც რა მოეპრიანება, ის შემოღობოს. ასე ყველა მიიტაცებს და მართლა კატასტროფა იქნება. კომუნიკაციაა საჭირო ამ გაჭირვებულ ხალხთან, ახსნა ამ ყველაფრის. როდესაც გამოდის თბილისის მერია და თავმომწონედ აცხადებს, რომ ანგრევს ამ უკანონო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ოცნება“ რაც უფრო სულელურ გადაწყვეტილებას მიიღებს, მით მკაცრი რეაქცია ექნება დასავლეთს“

სალომე სამადაშვილი: „ჰარცელის განცხადება ხელისუფლების მისამართით ხისტი გზავნილი იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში კარლ ჰარცელმა ხელისუფლება მწვავედ გააკრიტიკა. მიზეზი კი პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტია, რომელიც პარტიების დაფინანსების და რეგისტრაციის წესს ეხება. დიპლომატიურ გზავნილშიც კი გამოჩნდა მკაცრი ტონი, რომელმაც კანონპროექტს შემაშფოთებელი უწოდა.

ჰარცელმა თქვა, რომ რეგისტრაციის საკითხი მსხვილი ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგ არის მიმართული და თქვა, რომ ეს მოლაპარაკების პროცესს ხელს უშლის. დიპლომატის აზრით, დაფინანსების ნაწილში ლოგიკა ესმის, თუმცა ხელისუფლებისგან მეტ არგუმენტს ითხოვს.

კარლ ჰარცელის გზავნილებისა და ხელისუფლების მოქმედებების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ყოფილი დიპლომატი, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სალომე სამადაშვილი საუბრობს.

— თქვენ, როგორც ყოფილი დიპლომატი, უკეთესად ერკვევით დიპლომატების ენაში და როგორ გადათარგმნით ევროკავშირის ელჩის გზავნილებს?

— მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებისთვის საკმაოდ ხისტი გზავნილი იყო. იცით, რომ დაფინანსების თაობაზე კანონი თავის დროზე ჩვენი ევროპელი კოლეგების თანამონაწილეობით იქნა მიღებული. იმისათვის, რომ ჩვენ ქვეყანაში დემოკრატიული სივრცე გაფართოებულიყო და ვფიქრობ, რომ ეს გზავნილი პირდაპირ ეუბნება ხელისუფლებას, რომ დაფინანსების შეწყვეტა და მოხსნა ნიშნავს, რომ ხელისუფლება კიდევ უფრო შორს წავა დემოკრატიული სტანდარტების გადახვევის მხრივ.

ეს პროცესი ხელს უშლის მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესს და ამასთანავე ჩვენი დასავლელი პარტნიორები ჩვენგან მოელიან დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებას.

— ჰარცელი პირდაპირ ამბობს, რომ ეს პროცესი ხელს უშლის მოლაპარაკებებს და უფრო და უფრო მცირე რესურსი რჩება მოლაპარაკებებისთვის. ეს გზავნილი მხოლოდ ხელისუფლებისთვისაა თუ ოპოზიციისთვისაც?

— ოპოზიციას რაც შეეხება, არაფერი მოულოდნელი არ ყოფილა პოზიციებში ჩვენი პარტნიორებისთვის. ყოველთვის ვამბობდით, რომ უარს ვიტყვით მანდატებზე და ეს ახალი არ ყოფილა მათთვის. ვფიქრობ, რომ მათთვის უსიამოვნო სიურპრიზი იყო ის გზა, რაც ხელისუფლებამ აირჩია. ჰარცელის გზავნილი ორივე მხარეს შეეხება, მაგრამ პირველ რიგში მისი მკაცრი ტონი სწორედ ხელისუფლების მისამართით არის.

— ის საუბრობს იმაზე, რომ ეს კანონპროექტი მიმართულია მსხვილი ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ. გულისხმობდა თუ არა ამაში პირდაპირ ნაციონალურ მოძრაობას?

— ცხადია, რომ ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრობს. მთავარი ოპოზიციური ძალა არის ნაციმოძრაობა და მის გარშემო შეკრებილი გაერთიანება, რომელმაც პარლამენტში მოიპოვა ყველაზე მეტი მანდატი, ვიდრე ყველა დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიამ ინდივიდუალურად. ფაქტია, რომ დღეს მრავალპარტიული დემოკრატიის გადარჩენის მხრივ ნაციონალური მოძრაობა მნიშვნელოვანი მოთამაშეა და შესაბამისად „ქართული ოცნების“ მთავარი სამიზნეა. ყველასთვის ნათელია, ვისთვის არის განკუთვნილი მუქარის ენა, რომელზეც ხელისუფლება საუბრობს და ოპოზიციურ პარტიებს ემუქრება, კონკრეტულად კი ჩვენ პარტიას რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.

— ამ პროცესმა ხომ არ გამოაჩინა, რომ „ქართული ოცნება“ კომფორტულად გრძნობს თავს ერთპარტიულ პარლამენტში და ის დგამს შესაბამის ნაბიჯებს და ამის გამო დაიწყო თუნდაც შანტაჟის ენით ლაპარაკი, თუნდაც მოქმედებებით, რაც ამ კანონპროექტის ინიცირებით დაიწყო?

— პირველი, რასაც „ქართული ოცნება“ ხელს აწერს, არის ის, რომ მოლაპარაკებების პროცესს ჩაშლის და ერთპარტიულ პარლამენტს იღებს. ამით ის ამ ქვეყნის ევროატლანტიკურ მომავალს საფრთხის ქვეშ აყენებს და კიდევ უფრო აშკარა ხდება ხელისუფლების რეალური ამოცანები. მათი მოქმედებები აცდენილია მათივე დეკლარირებულ პოლიტიკურ კურსს. ვფიქრობ, რომ ხელისუფლება შეეცდება შექმნას ილუზია, რომ ერთპარტიული პარლამენტითაც კი ფონს გავა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლების რიგებშიც კი არსებობს პრაგმატული ხალხი, რომლებსაც, წესით, კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ეს არის შეუძლებელი.

— ხედავთ ასეთ პრაგმატულ ხალხს?

— არ მგონია, რომ ყველა მოკლებული იყოს რეალობის აღქმის უნარს „ქართულ ოცნებაში“. გადახედეთ სამთავრობო შემადგენლობას. ძალიან დიდი თავის მოტყუებაა ის, რომ ეს ხელისუფლება შეძლებს შეინარჩუნოს ძალაუფლება ამ

ვითარებაში, როდესაც პარლამენტი ფაქტობრივად წარმომადგენლობითი ორგანო არ იქნება ქვეყანაში. იმიტომ, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა ვერ გიგებს მის ხმას, მათ შორის, ვერც წარმომადგენლობით ორგანოში.

ამ ხელისუფლების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ამას ის აჩვენებს, რომ არც ერთ მთავრობას არ მიუღოცია ოფიციალურად „ქართული ოცნებისთვის“ არჩევნებში გამარჯვება. ყოველ შემთხვევაში, მე არ მინახავს ეს განცხადებები. როგორც წესი, გამარჯვებული გუნდი მსგავს მილოცვებს იღებს ხოლმე პარტნიორი ქვეყნებისგან. ასე რომ, „ოცნებას“ ვადამდელი არჩევნების ჩატარება ყველა შემთხვევაში მოუწევს.

ვფიქრობ, რომ მათი მხრიდან უგუნურებაა, როდესაც „ქართული ოცნება“ არ მოდის დათმობაზე და არ აკეთებს შეთანხმების თაობაზე სამოქმედო გეგმას. ისინი გახდებიან იძულებულები, რომ ჩაატარონ ვადამდელი არჩევნები დემოკრატიულად.

— ფასილიტატორი ელჩების მისამართით გაისმა კრიტიკა, მათ შორის ოპოზიციური ფლანგიდანაც. როგორ უყურებთ ამ პროცესს და თვლით თუ არა, რომ ჰარცელის განცხადება კრიტიკის საფუძველს მოხსნის?

— ფასილიტატორი ელჩების შესაძლებლობები შეზღუდულია. მე ამაზე ვსაუბრობდი, რომ მათ არ აქვთ ჯადოსნური ჯოხი, რომელსაც აიქნევენ და აიძულებენ მხარეებს, რომ შეთანხმდნენ. ამიტომ, მე მათ მცდელობებს ვაფასებ. ცდილობენ გააკეთონ ის, რაც მათი შესაძლებლობების ფარგლებშია. თუ არ იქნება „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ნება, რომ შეთანხმება მოხდეს, ცხადია, რომ შეთანხმება ვერ მოხდება. მე მხოლოდ მადლობის თქმა შემიძლია მათი მცდელობებისთვის.

— რა ვითარებაა დღეს ნაციონალურ მოძრაობაში გრიგოლ ვაშაძის წასვლის შემდეგ? დარეგულირდა თუ არა ვითარება?

— რა თქმა უნდა, არ იყო სასიამოვნო პროცესი. ვაფასებ იმ როლს, რაც გრიგოლ ვაშაძეს ჰქონდა პარტიაში გასული 4 წლის მანძილზე. მისი გადაწყვეტილება იყო სამწუხარო, მაგრამ პარტია გააგრძელებს ბრძოლას იმ გეგმით, რაც საჭიროა.

— დამრჩა შთაბეჭდილება, რომ თქვენც იზიარებდით გრიგოლ ვაშაძის პოზიციებს. ასეა?

— კონკრეტულად რა მხრივ?

— იგივე დიპლომატებთან ურთიერთობის თვალსაზრისით და რომ არ შეიძლება მათი მწვავე კრიტიკა, იგივე პარლამენტში შესვლა-არშესვლასთან დაკავშირებით. უფრო კონსტრუქციული მომეჩვენეთ, ვიდრე თქვენი პარტნიორები.

— მე ყოველთვის ვიყავი მოლაპარაკებების მომხრე ამ პროცესში, თუმცა მოლაპარაკებებს უნდა ჰყავდეს ორი მხარე და ორივე მხარეს უნდა უნდოდეს შეთანხმება. თუ იმას გულისხმობთ, რომ არსებობს ასეთი აზრი, რომ „ოცნებასთან“ შეთანხმებას აზრი არ აქვს, ამასთან დაკავშირებით მე ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ თუ რაიმე შეთანხმების მიღწევა შესაძლებელია და ამას გააფორმებენ საერთაშორისო თანამონაწილეობით, ეს მაინც სასურველი გზა იყო ამ კრიზისიდან გამოსვლის თვალსაზრისით.

ელჩებთან მიმართებაში პოზიციას რაც შეეხება, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ მათი შესაძლებლობები შეზღუდულია. სხვა ქვეყნების გამოცდილებიდანაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, სადაც პოლიტიკური კრიზისი ყოფილა და ევროკავშირის ფუნქცია იყო, რომ ფასილიტატორის ფუნქცია შეესრულებინა, სამწუხაროდ, სხვა ქვეყნებშიც ყოფილა ასეთი მაგალითები, რომ მომლაპარაკებლებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. ეს არის ობიექტური რეალობა, რომ ფასილიტატორების შესაძლებლობები შეზღუდულია.

„ქართული ოცნება“ რაც უფრო სულელურ გადაწყვეტილებას მიიღებს, ისეთს, რომელსაც დროდადრო ბატონი კობახიძე გვიანონსებს ხოლმე, ამაზე მით უფრო მძაფრი რეაქცია იქნება დასავლელი პარტნიორებისგან. მაგალითად, მოვისმინეთ სენატორი რიშის რეაქცია პარტიებისთვის დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე.

მკაცრი რეაგირება მოახდინა ამაზე აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარემ.

დვალი და აქიმიძე წულუკიანის წინააღმდეგ

„რუსთავი 2“ მის კანონიერ მესაკუთრეებს არ დაბრუნებია“

„რუსთავი 2“ დაუბრუნდა არა მის დამფუძნებლებსა და კანონიერ მესაკუთრეებს, არამედ ქიბარ ხალვაშს, რომელიც იყო 2004 წელს ტელეკომპანიის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების უშუალო მონაწილე და იმდროინდელი ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებელი.

ამის შესახებ „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებმა ჯარჯი აქიმიძემ და დავით დვალმა, ასევე იურისტმა კახა კოჟორიძემ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

„ყურადღებით გავეცანით იუსტიციის ყოფილი მინისტრის თეა წულუკიანის მიერ გაკეთებულ შემაშფოთებელ განცხადებებს „რუსთავი 2“-ის ღამის კურიერის ეთერში, სადაც მან აღნიშნა, რომ „ქართულ ოცნებას“ და მის იუსტიციის სამინისტროს კი „არ ეძინა“, არამედ ბევრი იშრომეს, რომ „რუსთავი 2“ „მის მესაკუთრეს“ დაბრუნებოდა.

გვსურს რამდენიმე გარემოებას გავუსვათ ხაზი:

1. „რუსთავი 2“ დაუბრუნდა არა მის დამფუძნებლებსა და კანონიერ მესაკუთრეებს, არამედ ბატონ ქიბარ ხალვაშს, რომელიც, მისივე აღიარებით, იყო 2004 წელს ტელეკომპანიის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების უშუალო მონაწილე და იმდროინდელი ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებელი. შესაბამისად, ხალვაშისთვის „რუსთავი 2“-ის გადაცემა სამართლიანობის აღდგენა კი არ არის, არამედ არის გაუკუღმართებული შეხედულება სამართლიანობაზე.

2. 2019 წელს ჩვენ ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ სარჩელი შევიტანეთ სასამართლოში და მოვითხოვეთ „რუსთავი 2“-ის 60% წილის დაბრუნება. ჩვენს სარჩელზე თბილისის საქალაქო სასამართლოში დღემდე არც ერთი პროცესი არ ჩატარებულა და არც ის არის ცნობილი, თუ როდის იქნება პირველი სხდომა“.

დვალმა და აქიმიძემ 2012 წელს საქართველოს პროკურატურაში შეიტანეს განცხადება 2004 წელს მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიების მოთხოვნით.

„პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლები დაზარალებულებადაც გვცნეს, მაგრამ შემდეგ საქმე „დააძინეს“ და პროკურატურის ბნელ და მტვრიან თაროზე შემოდეს. რატომ მოიქცა პროკურატურა ასე? პასუხი მარტივია: სისხლის სამართლის წესით დამნაშავეების დადგენა გაამარტივებდა იმას, რომ „რუსთავი 2“ მის კანონიერ მესაკუთრეებს დაბრუნებოდა, რაც არ შედიოდა „ქართული ოცნების“ ინტერესებში“, – ნათქვამია განცხადებაში.

დვალის და აქიმიძის თქმით, სამართლიანობა აღდგება მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმოებული „რუსთავი 2“ დაუბრუნდება მის დამფუძნებლებს.

თეა წულუკიანმა „რუსთავი 2“-ის ეთერში ასეთი რამ თქვა:

— თქვენ ჩვენ დაგიბრუნეთ ის, რაც გეკუთვნოდათ, „რუსთავი 2? ეკუთვნოდა ხალხს, ეკუთვნოდა მის მესაკუთრეს და ამაში იუსტიციის სამინისტროს ტიტანური შრომა დევს და მე თქვენგან მაქვს მოლოდინი იმისა, რომ იდგებით სიმართლის და სამართლიანობის სადარაჯოზე.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შოთა მალაშხია: „ქართული ოცნება“ ისეთი კეთროვანი გახდა, რომ მას ოპოზიციონერები ვერ ეკარებიან“

„კობახიძე და სხვები „საბოტაჟის“ ხსენებით ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მენტალიტეტის მატარებლები არიან“

მარიამ მჭედლიშვილი

ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ვერ მიაღწია შეთანხმებას. პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა. მმართველი პარტია აანონსებს კანონების მიღებას, რომლითაც ბარიერგადალახულ პარტიებს დაფინანსება შეუწყდებათ, ნაციონალურ მოძრაობას კი არჩევნების წინ რეგისტრაცია გაუუქმდება მისი ფაქტობრივი ლიდერის — მიხეილ სააკაშვილის მხრიდან საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის გამო. ოპოზიცია გაზაფხულზე აქციებს გეგმავს. შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.

— გაერთიანებული ოპოზიციის მხრიდან უკვე გაისმის შესაძლო რევოლუციის დაპირება. ოპოზიციონერების თქმით, მშვიდობა დამყარდება მხოლოდ რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში.

— გაზაფხულზე, ალბათ, იქნება საპროტესტო მოძრაობა. ჯერჯერობით, ყველაფერი ისე მიდის, როგორც მოსალოდნელი იყო: ოპოზიცია სტაბილურად ერთიანია, „ოცნების“ გაყალბებული პარლამენტი კი — ერთპარტიული. ხელისუფლებამ ძალ-ღონე არ დაზოგა, მაგრამ ვერც დაშინებით და ვერც მოქრთამვით ოპოზიცია ვერ აიყოლია, პარლამენტში ვერ შეიტყუა.

— რამდენიმე ოპოზიციონერი არ გამორიცხავს, რომ პარლამენტში შესვლას დათანხმდეს.

— ერთი-ორი ამაზე რომც წავიდეს, სურათი არ შეიცვლება — ოპოზიცია თავის მოთხოვნებზე ხელს არ აიღებს, პარლამენტი კი მაინც ქმედუუნარო და ერთპარტიული იქნება. ხოლო ის, ვინც თავის წინანდელ მოთხოვნებს უღალატებს და დეპუტატობას დახარბდება, „ქართულ ოცნებაზე“ უარესი გახდება. „ქართული ოცნება“ და მისი წარმომადგენლობა სალანძღავი გახდა. წარმოიდგინეთ იმათი მდგომარეობა, ვინც ამაზე უარესი იქნება. მთელი საზოგადოება, პოლიტიკური სპექტრი, ორგანიზაციები საერთაშორისო იმიჯით აცხადებენ, რომ გასამართია ახალი საპარლამენტო არჩევნები. ის, რაც 31 ოქტომბერს ჩატარდა, არ იყო არჩევნები.

— ოპოზიცია გაზაფხულზე აქციებს აანონსებს. ახსენებენ „მშვიდობიან რევოლუციას“.

— როგორც ვატყობ, ჯერჯერობით ხელისუფლება არჩევნებს არ დანიშნავს. კოვიდ-ის შემოტევისა და ეკონომიკის დაქცევის შედეგად მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. ხელისუფლების კორუფციული მადა კიდევ უფრო მოიმატებს. გარდა ამისა, უფრო გამოაშკარავდება „ოცნების“ არაადამიანური სახე. ამ ხელისუფლების ბუნება ვნახეთ ცოტა ხნის წინ, როცა მან პანდემიის დროს საკუთარ მოქალაქეებს ცივი წყალი ასხა. მსგავსი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ ვიხილეთ თბილისის „აფრიკის დასახლებაში“. პანდემიის მძვინვარების დროს ადამიანები დეკემბრის სუსხში გამოყარეს ქუჩაში. ასე მოექცნენ სოციალურად დაუცველებს. გვარწმუნებდნენ, ყველა მათგანს სხვაგან საცხოვრებელი აქვსო. დავუშვათ, ყველას აქვს საცხოვრებელი. მოქალაქეებს პანდემიის დროს ასე უნდა მოექცე?! ასე მხეციც არ მოქცევა. გამდიდრების ჟინი რას არ აკეთებინებს ამ ისედაც ნდობადაკარგულ მოხელეებს! სწორად იქცევა ოპოზიცია. ის, რასაც ოპოზიცია აკეთებს, ხალხის შეკვეთაა.

— კონკრეტულად?

— საზოგადოებას უნდა სამართლიანი არჩევნები და ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო. ხალხმა თავისი ხმის ფასი იცის. ოპოზიციას ხალხმა შეუკვეთა ასეთი მიდგომები. თავისი ხმის დასაცავად გამოვა კიდეც. ოპოზიციამ გაითვალისწინა კორონაკრიზისი და ზამთარში დიდი აქციებისგან თავი შეიკავა. თუმცა, იქნება ცალკეული გამოსვლები და პერფორმანსები.

— ხელისუფლების იმ ინიციატივებზე რას იტყვით, რომლებიც ეხება პარლამენტში არშესული პარტიებისათვის დაფინანსების შეწყვეტას და იმ პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებას, რომლის აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქე მონაწილეობს? ამ კანონპროექტებს კანონად ქცევის შემთხვევაში უკუქმედების ძალა არა აქვს?

— დიახ. ახლა ამოქმედებული კანონით, დაფინანსებას ბიუჯეტიდან მიიღებენ ბარიერგადალახული პარტიები. ჩვენი პარტია მანამდე იღებდა დაფინანსებას ადგილობრივი არჩევნების შედეგის მიხედვით. ჩვენ სექტემბერში შეგვიჩერეს დაფინანსება. დაფინანსება რომ შემოწყვიტეს, ამის გამო ხელისუფლების კრიტიკას შევწყვეტ, შემეშინდება თუ რა?!

— სხვებიც ასე მოიქცევიან?

— რასაკვირველია. მაგით ვის შეაშინებენ! საინტერესოა, რომ ოპოზიციურ პარტიებზე საუბრისას ახსენებენ სიტყვა „საბოტაჟს“. ჯერ ერთი, საბოტაჟი სულ სხვა რამეს ნიშნავს. მეორეც, კობახიძე და სხვები საბოტაჟის ხსენებით ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მენტალიტეტის მატარებლები არიან. მეოცე საუკუნის 20-იან, 30-იან თუ 40-იან წლებში საბოტაჟის მოწყობას და დაგეგმვას აბრალებდნენ ოპონენტებს. საბჭოური აზროვნება შეიძლება ნებისმიერი ასაკის ადამიანს ჰქონდეს. „ოცნებაში“ დღეს უფრო ბრეჟნევის დროინდელი მენტალიტეტის ხალხია. მაშინ კომუნისტები, ფულიანი „ცეხავიკები“ და კრიმინალური ავტორიტეტები ერთი არაფორმალური სისტემა იყო. დღევანდელ საქართველოში იგივე ხდება და ბიძინა ივანიშვილიც გადმოჯდა „ვოლგა 21“-ში.

— ითვლება, რომ გრიგოლ ვაშაძის წასვლამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, რომელიც თავმჯდომარეც იყო და პრეზიდენტობის კანდიდატიც, დაა ზიანა ოპოზიცია.

— ოპოზიციის გეგმები ამით არ შეიცვლება. გრიგოლ ვაშაძემ ყველაფერი სწორად გააკეთა — პარტიის სიაც ჩახსნა, დეპუტატის მანდატზე უარი თქვა. წასვლა ყველა ადამიანის უფლებაა. შეიძლება ის დაიღალა. ერთადერთი, რაც შეეძლო ამ დროს არ ეთქვა, ისაა, რომ ის შეეხო პარტიასთან მიტმასნილ პიროვნებებს და მათ მიუღებლობას. ამაზე მას მაშინ შიგნით უნდა ამოეღო ხმა, როცა თვითონაც პროცესებში იყო ჩართული.

— ოპოზიციაში აღიარებენ, რომ ვერ იმუშავეს დასავლეთთან.

— ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ძალიან ცუდ დროს გაიმართა ეს არჩევნები. ის დაემთხვა აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებს. სხვა დროს რომ ყოფილიყო არჩევნები, მეტ დროს დაგვითმობდნენ. ამერიკელები უფრო დროულად რეაგირებენ პროცესებზე. ევროპელები ამას დაგვიანებით და უფრო რბილად აკეთებენ. დასავლელმა პარტნიორებმა იციან, რომ საქართველოში ხდება მოსყიდვა, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. მათთვის წარმოუდგენელია კარუსელები და სხვა ხრიკები.

— მათი პოზიცია ასეთია — არჩევნები საქართველოში თითქმის ყოველთვის ყალბდება.

— სინამდვილეში, ბოლო არჩევნებზე მოხდა მასშტაბური გაყალბება. იმაზე კი არ არის საუბარი, რომ „ოცნებამ“ რამდენიმე მანდატი დაიმატა. რეალურად, „ოცნებას“ არჩევნები არ მოუგია. ამის გამო ვერ სრულდება ხალხის დაკვეთა და არ იცვლება ხელისუფლება.

— „სამართლიანი არჩევნებიც“ ცესკოს მსგავს შედეგს დებს.

— ეს ორგანიზაცია ითვლის ცესკოს მიერ მომზადებულ ოქმებს და ის სხვა შედეგს ვერ დადებდა. რომელიმე ინიციატივიანი წარმომადგენელი შეიძლება აფიქსირებდეს დარღვევას უბანზე, მაგრამ „სამართლიანი არჩევნები“ ეყრდნობა ოქმებს.

— ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები არ დასრულებულა.

— „ქართული ოცნება“ ისეთი კეთროვანი გახდა, რომ მას ოპოზიციონერები ვერ ეკარებიან. კეთრი გადამდებია. სხვა მხრივაც ძალიან ცუდად გამოიყურება ხელისუფლება. გახარიას თავისი გარემოცვა ეძახდა საუკეთესო კრიზისმენეჯერს. გაზაფხულზე მან ჩაკეტა და გააჩერა ყველაფერი, როცა დღე-ღამეში 40 კოვიდინფიცირებული გვყავდა, ამჟამად დღე-ღამეში 50 იღუპება.

— თუმცა, ხელისუფლება თავდაჯერებულია.

— ფუყე თავთავი, ასევე ბრიყვი თავს მაღლა სწევს. ხელისუფლებას არ უნდა იმის შეგნება, რომ საქმე ცუდად მისდის. შევარდნაძის დროს იმ ხელისუფლებას ვსაყვედურობდით იმას, რომ არ აშენებდა, არ ქმნიდა, კორუფციაში იყო ჩაფლული. „ოცნება“ მოქალაქეთა კავშირზე უარესია. მან დაანგრია აშენებული ქვეყანა და აწყობილი სტრუქტურები, ასევე უარესად გააღარიბა მოსახლეობა. არ ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. რაც მეტს გაჭიმავენ დროს, უფრო უარესად დაამთავრებენ.

ნიკა მელია თუ ლევან ვარშალომიძე

ნაციონალები პარტიის თავმჯდომარეს ელექტრონული წესით აირჩევენ

20 დეკემბერს ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა.

სხდომაზე პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატებად ნიკა მელია და ლევან ვარშალომიძე დასახელდნენ.

— პოლიტიკურ საბჭოს სხდომაზე ერთადერთი საკითხი იყო დღის წესრიგში, ეს იყო ახალი თავმჯდომარის არჩევის წესი. პოლიტსაბჭომ გადაწყვიტა, რომ თვის ბოლოს გაიმართება პარტიის ყრილობა, სადაც დამტკიცდება პარტიის ახალი თავმჯდომარე. მანამდე, ალბათ, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, პარტიის თავმჯდომარის არჩევა ყველაზე გამჭვირვალედ, ელექტრონულად მოხდება.

ათიათასობით მხარდამჭერს და პარტიის წევრს საშუალება ექნება, რომ მიიღოს ამ არჩევნებში მონაწილეობა და თავად განსაზღვროს, ვინ იქნება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე. პოლიტსაბჭოზე ფარული კენჭისყრით იქნა შერჩეული კანდიდატები, რომლებიც უკვე ელექტრონულ კენჭისყრაში მიიღებენ მონაწილეობას, ესენი არიან — ნიკა მელია და ლევან ვარშალომიძე, — განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გრიგოლ ვაშაძემ პარტია ნაციონალური მოძრაობა და მის მიერ დაკავებული ყველა პარტიული თანამდებობა 15 დეკემბერს დატოვა.

„ივანიშვილმა ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის გზა მოჭრა“

ლაშა ჩხარტიშვილი: „საქართველოში ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის დამყარებას რევოლუცია მირჩევნია“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.

— ლაშა, ნიკა მელიას განცხადებას მშვიდობიან რევოლუციასთან დაკავშირებით დავით ბერძნიშვილის შეფასება მოჰყვა, რომ რევოლუცია გაკეთილშობილებას არ ექვემდებარება. ოპოზიცია მოვლენათა ასეთ განვითარებას უშვებს?

— მე ოპოზიციის თითქმის ყველა შეხვედრას ვესწრები, არც ერთ შეხვედრაზე რევოლუციური გეგმა განხილული არ ყოფილა. არანაირი რევოლუციური გეგმა ბუნებაში არ არსებობს. შეუძლებელია ასეთი გეგმა განხილული ყოფილიყო. რაც შეეხება აზრებს, რომელიც იქნება ნიკა მელიასი თუ ლაშა ჩხარტიშვილის, სრულიად ლეგიტიმურია და ნებისმიერ აზრს აქვს არსებობის უფლება. ეს არის ცალკეული ადამიანების აზრი და მისი გამოთქმის უფლება გაგვაჩნია, ეს კანონით არავის არ აუკრძალავს ჩვენს ქვეყანაში.

თუკი ვინმეს საზოგადოება რევოლუციამდე მიჰყავს, ეს ყოველთვის ხელისუფლებაა. თუკი ივანიშვილი თავის მოქალაქეებთან გააგრძელებს ბრძოლას შიმშილით, ტრაქტორებით, კრიმინალებით, კორუფციით, ადამიანებისთვის თავშესაფრის ნგრევითა და ქუჩაში გაყრით, ადამიანების პოლიტიკური დევნით, მაშინ ამ ადამიანებს აჯანყების უფლება აქვთ და მათ სამართლებრივი აქტები და კონვენციები იცავს. თუკი მე მკითხავთ — გიპასუხებთ, რომ ტირანიასთან შეგუებას, მშვიდობიანი რევოლუცია ჯობია, მაგრამ ეს ყოველთვის არის თავგასული ხელისუფლების დამსახურება და არა ოპოზიციის.

— „შევეშვათ რევოლუციის პოზიტიურ კონტექსტში მოხსენებას“-ო ბერძენიშვილმა.

— თუ ვინმეს კომპლექსი აწუხებს, თავად იყვნენ „ვარდების რევოლუციის“ თანამონაწილეები! მე ვსაუბრობ თეორიულ შესაძლებლობაზე, თეორიულ დაშვებაზე ყველა რესურსისა და გზის ამოწურვაზე და არავითარ შემთხვევაში სურვილზე. საუბარია იმაზე, რომ ადამიანებს აქვთ უფლება, დიქტატურას არ შეეგუონ და ეს მშვიდობიანი გამოსვლებით გააპროტესტონ.

რა მივიღეთ?! ტოტალური კორუფცია, ადამიანების ქუჩაში გამოყრა, ისე, რომ ბავშვებსაც კი არ ინდობენ ამ სიცივეში. ამას ემატება ყოველდღე 50-ამდე კოვიდით გარდაცვლილი ადამიანი. მილიარდები, რომელიც ამ მიმართულებით ქვეყანამ მიიღო, გაყვლიფეს. ამ დროს ვხედავთ ადამიანები ქუჩაში იყინებიან ხელისუფლების უყურადღებობით, ამას ერთვის საშინელი სიღარიბე და შიმშილი. საბოლოო ჯამში, ეს არის გენოციდი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

— და ეს ყველაფერი რევოლუციას ამართლებს?

— მე ვსაუბრობ უფლებაზე, რომელიც აქვთ ადამიანებს და რომელიც სამართლებრივად დაცულია.

თუ ივანიშვილმა ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის გზა მოჭრა და თუ დაიწყო პოლიტიკური პარტიების გაუქმება, როგორც აქვთ დაგეგმილი და ჩრდილოკორეული რეჟიმის დამყარება დაიწყო, მერწმუნეთ, ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრებას, რევოლუცია ნამდვილად ჯობია, ცხადია, მშვიდობიანი. ახლა, რაც უნდათ ის კუდი მოაბან ჩემ ამ ნათქვამს, ვგულისხმობ ივანიშვილსა და მის ხელისუფლებას.

ივანიშვილი ან თავს დაანებებს ამ ქვეყნის მოქალაქეებს, პოლიტიკური დიქტატურის დამყარებასა და ჩრდილოეთ კორეის შენებას, რომელიც საქართველოში უბრალოდ არავის არ გამოუვა ან მიიღებს რევოლუციას. მშვიდობიან რევოლუციას და ეს არის ცალკეული ჩვენგანის აზრი, რომელიც გამოვთქვით.

— უშვებთ, რომ ამ განცხადებებს გამოძიების დაწყება მოჰყვეს?

— არ არის გამორიცხული, მაგრამ რევოლუციის თეორიული დაშვება ჩვენი, როგორც ადამიანების, გამოხატვის თავისუფლების ნაწილია. იძიონ რამდენიც უნდათ, უნდათ დამიჭირონ, პრობლემა არ არის. მე, ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის დამყარებას, ყველაფერი მირჩევნია.

— მოლაპარაკებებს შეიძლება ამ გამონათქვამებმა ხელი შეუშალოს?

— მოლაპარაკებებს ხელს უშლის ბიძინა ივანიშვილის მუქარა. მუქარა, რომელიც ნაწილობრივ უკვე აღსრულებულია. კანონპროექტი, რომელიც პოლიტიკური პარტიების გაუქმებას, დაფინანსების შეჩერებასა და ყველანაირ უბედურებას აკანონებს ქვეყანაში, დიქტატურაა და სხვა არაფერი. თუ რამე ემსახურება მოლაპარაკებების ჩაშლას, სწორედ ეს ემსახურება. ამას საერთაშორისო თანამეგობრობა გულგრილად არ შეხედავს და უკვე მოჰყვა კიდეც საერთაშორისო შეფასებები. ივანიშვილი იმდენს იზამს, რომ მართლაც „გამოჰკრავს“ ხელს ფინანსურ სანქციებს. თუ ეს ყველაფერი სისრულეში მოიყვანეს, მაშინ არც ქვეყნის შიგნით არ ასცდება განსასჯელის სკამი, მაგრამ მე იმდენს გავაკეთებ, რომ მურუსიძის სასამართლომ არ გაასამართლოს. ოპოზიციას უკვე აქვს სასამართლოს რეფორმის ხედვა და რეფორმირებული სასამართლო გამოუტანს მას განაჩენს, მას ხალხის მიერ არჩეული მოსამართლეების წინაშე მოუწევს წარდგომა.

ვახტანგ გომელაური: „სამართალდამცველთა ძალისხმევით, გასულ წელთან შედარებით, დანაშაული შემცირდა 10 პროცენტით“

„პოლიცია იყო და არის ყველგან, სადაც კი ქვეყანას და ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ!“

ვახტანგ გომელაურმა, „მთავრობის ანგარიში მოქალაქეებს“ ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში წარადგინა.

ვახტანგ გომელაურმა ისაუბრა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის მიერ მთელი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

– პოლიცია იყო და არის ყველგან, სადაც კი ქვეყანას და ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ! დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს ფასდაუდებელი შრომისათვის, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

მისი თქმით, 2020 წელი ნამდვილად იყო მოულოდნელი და რთული გამოწვევების წელი.

– მსოფლიო კოვიდ 19-ის პანდემიის წინაშე სულ სხვა რეალობაში აღმოჩნდა, ამ მხრივ არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. პანდემიამ სრულიად შეცვალა საქართველოს მთავრობის დღის წესრიგი, შესაბამისად, ჩვენიც. შსს-ს დიდი გუნდი თელი ამ ხნის განმავლობაში საგანგებო რეჟიმში მუშაობდა და ახლაც მუშაობს. ერთდროულად ვზრუნავდით ქვეყანაში წესრიგსა და უსაფრთხოებაზე, ვიცავდით და ვაკონტროლებდით საზღვარს, ვებრძოდით კრიმინალს, ვიცავდით ადამიანის უფლებებს, ვებრძოდით ხანძრებს და სტიქიებს, უზრუნველვყოფდით უსაფრთხო საარჩევნო გარემოს, ვასრულებდით ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ვზრუნავდით საგზაო უსაფრთხოებაზე, ვაუმჯობესებდით ტექნიკურ აღჭურვას, ვზრუნავდით თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, სოციალური პაკეტების გაუმჯობესებაზე და ამ ყველაფრის პარალელურად, პანდემიის პირობებში, მთავრობასთან კოორდინირებულად, 24-საათიან რეჟიმში ვასრულებდით და ახლაც ვასრულებთ საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

პოლიცია იყო და არის ყველგან, სადაც კი ქვეყანას და ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ! პანდემიასთან ბრძოლის დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა პოლიციის როლი და მნიშვნელობა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სამინისტროს თითოეულ თანამშრომელს იმ ფასდაუდებელი შრომისათვის. პანდემიის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი დანაყოფები 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ. გვიწევდა საგუშაგოების მოწყობა, ჩაკეტილი ქალაქების კონტროლი. ალბათ, ყველას კარგად გახსოვთ ამ ქალაქებში თვეობით ჩარჩენილი, საკუთარ ოჯახებს მოწყვეტილი ჩვენი პოლიციელები. მიუხედავად ამისა, ჩვენ ერთი წუთით არ შევფერხებულვართ კრიმინალთან უკომპრომისო ბრძოლაში, რაც კონკრეტულ ციფრებში აისახა კიდეც, – აღნიშნა შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა.

2020 წელს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 5 კანონიერი ქურდი; „ქურდული სამყაროს“ წევრობის, მხარდაჭერისა და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია 49 პირი; ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დაკავებულია 71 პირი; საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად გამოვლენილია ნარკოდამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი და ამოღებულია 40 კგ „ჰეროინი“; პასუხისგებაში მიცემულია ნარკოტიკებით ონლაინ ვაჭრობაში ჩართული 16 პირი; დაიხურა 13 ინტერნეტ ნარკოსარეალიზაციო მაღაზია, გამოვლენილია ფსიქოაქტიური ნივთიერების დამამზადებელი ნარკოლაბორატორია; უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ იქნა 89 კილოგრამი „ჰეროინი“; 1 კილოგრამი „კოკაინი“; 7 000 აბი „სუბოტექსი“/“სუბოქსინი“ ; 6,5 კილოგრამი ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები“.

– გასულ წელთან შედარებით 2020 წელს დანაშაული 10%-ით არის შემცირებული, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მისივე თქმით სამართალდამცველთა ძალისხმევის შედეგად, გასულ წელთან შედარებით, დანაშაული შემცირდა 10 პროცენტით, მათ შორის ყაჩაღობა – 42%-ით, გამოძალვა – 34%-ით, ძარცვა – 25%-ით, ქურდობა – 12%-ით, მკვლელობის მცდელობა – 5%-ით.

– ოპონენტები ხშირად ამბობენ, რომ ქვეყანაში კრიმინალმა იმატა. მივყვეთ მონაცემებს და ვნახავთ, რომ ეს განცხადებები პოლიციის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული. სამართალდამცველთა ძალისხმევის შედეგად, გასულ წელთან შედარებით, დანაშაული შემცირდა 10 პროცენტით. რა თქმა უნდა გვაქვს მატება გარკვეულ დანაშაულებზე, რაზეც ინფორმაციას საზოგადოებას ყოველთვიურად ვაწვდით, მაგალითისთვის: კიბერდანაშაულმა მოიმატა 24 პროცენტით, ოჯახში ძალადობამ 8,5 პროცენტით, მკვლელობამ 11 პროცენტით იმატა, რაც 7 ერთეულით მეტია, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

კიბერდანაშაული არის 21-ე საუკუნის გამოწვევა და ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. ოჯახში ძალადობის მატების ტენდენცია კი განპირობებულია მზარდი მომართვიანობით, რაც წლების განმავლობაში გამოწვევას წარმოადგენდა.

– ჩვენ პატივს ვცემთ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებას და სწორედ ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევის შედეგია, რომ მედია თავისუფალია, ერთი კაბინეტიდან არ კონტროლდება და ნებისმიერი ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია, – განაცხადა შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა.

კოვიდის გავრცელების და თანამშრომელთა დასნებოვნების საშიშროების მიუხედავად, სამუშაო არ შეფერხებულა არც ერთი წუთით. შს სამინისტრო მოქმედებდა მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

– ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გვევალებოდა: თვითიზოლაციაში მყოფ პირთა პერიოდული მონიტორინგი; კონკრეტული, მაღალი რისკის შემცველი ლოკაციების იზოლირება; სპეციალური ბლოკპოსტების მოწყობა; საკარანტინო ზონების კონტროლი და დაცვა; ქვეყნის სასაზღვრო გამშვები პუნქტებისა და სახელმწიფო საზღვრის „მწვანე ზოლის“ კონტროლი; საველე ჰოსპიტლის გახსნა; სპეციალური საკარანტინო რეჟიმის პირობებში დაწესებული შეზღუდვების აღსრულება.

მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სამინისტრო კოორდინირებულად მუშაობდა მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურასთან. მინდა გავიხსენო ის ღამეც, როცა მარნეული და ბოლნისი ჩაიკეტა. ჩვენმა თანამშრომლებმა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, ჯარისკაცებთან ერთად ერთ ღამეში მოაწყვეს 100 კაცზე გათვლილი საველე ჰოსპიტალი, – განაცხადა გომელაურმა.

მისივე თქმით, კოვიდის პირობებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ლაბორატორიის მიერ შსს-ს თანამშრომლების ტესტირება პისიარ მეთოდით.

– განსაკუთრებული მადლობა ჩვენს პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებმაც გადმოგვცეს კოვიდ-პანდემიასთან ბრძოლის საშუალებები.

კოვიდ-19-ის გავრცელების რისკების შემცირების მიზნით, დაიწყო დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირების სასამართლო პროცესების დისტანციურ რეჟიმში ჩატარება. ჩვენ უმოკლეს პერიოდში შევძელით იზოლატორების აღჭურვა საჭირო ტექნიკით; ყველა ლოკაციაზე მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მოხდა თანამშრომელთა გადამზადება. სასამართლო პროცესები იმართებოდა დაკავებულის მიერ იზოლატორის დატოვების გარეშე. ჯამში, 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, გაიმართა იზოლატორში მოთავსებული 3.337 პირის დისტანციური სასამართლო პროცესი, – აღნიშნა გომელაურმა.

„მოვუწოდებ კალაძეს, მოგვეცით საშუალება, რომ ვისუნთქოთ!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნაგებობებს, გაცილებით უარესი სიტუაციაა „ლეგალურად“ აშენებულ კორპუსებთან დაკავშირებით.

– რას გულისხმობთ?

– თბილისში თუკი სადმე მიწის ნაგლეჯია დარჩენილი, მერია გასცემს ნებართვას და კორპუსები შენდება და შენდება. იმას აღარავინ უყურებს, რომ ეს კორპუსები როგორ აზიანებს მიმდებარე კერძო დასახლებებს და ის ადამიანები, რომლებიც ამ კორპუსების გარშემო ცხოვრობენ, ისინიც უსახლკაროდ რჩებიან. უნდა ნახოთ, რა სავალალო მდგომარეობაშია ხალხი ჩავარდნილი. პირადად მე მაქვს რამდენიმე საქმე, როგორც ადვოკატს, მომმართეს დაზარალებულმა ადამიანებმა, რომლებიც ასე დაზარალდნენ, განსაკუთრებით ისანში.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ დაზარალებაში?

– სამშენებლო კომპანიებმა, რომლებმაც ასე აწარმოეს მშენებლობები მერიის გაცემული ნებართვით, დააზიანეს ამ ხალხის ბინები და ეს ადამიანები ჩავარდნენ უმძიმეს მდგომარეობაში. არის ასეთი კომპანია, ჯი-ემ-თი ჯგუფი, რომლის დამფუძნებლებიც არიან თენგიზ ესიავა, მერაბ დანელია, გია გოდერძიშვილი და აი ამ კომპანიამ ისანში დაიწყო მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა და ნავთლუღის ქუჩაზე ისე დააზიანა კერძო სახლები, რომ ადამიანების იქ ცხოვრება არის ძალიან საშიში. იმიტომ რომ, იქ რომ შევიდნენ, შეიძლება თავზე დაემხოთ ყველაფერი.

– ასეთ შემთხვევაში ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?

– მიმართეს მერიას და არანაირი რეაგირება არ იყო. ისე იწყებენ მშენებლობას, რომ რისკები საერთოდ არ არის განსაზღვრული, რა შეიძლება მოყვეს კონკრეტულ ადგილას მრავალსართულიანი კორპუსის აშენებს. კონკრეტულად მე ჩავატარე ექსპერტიზები, რეალურად ამ კომპანიის ბრალია. სისხლის სამართლის საქმეც იქნა აღძრული. დაიკითხნენ ეს ადამიანები, უამრავი ფული დახარჯეს ამ დაზარალებულებმა. წარმოიდგინეთ, ექსპერტიზების ჩატარება, სამართალწარმოება რამხელა ხარჯებთან არის დაკავშირებული?! ისედაც რა დღეშია ხალხი, ყველას ხომ არ აქვს ამის შესაძლებლობა?!

– თბილისის მერია რას ამბობს ამ შემთხვევაში?

– არც არაფერს! მე მინდა მოვუწოდო თბილისის მერიას, როდესაც კომპანია უქმნის პრობლემებს მოსახლეობას, კეთილი უნდა ინებონ და ამ პრობლემის მოგვარებაში ამ ხალხს დაეხმარონ. ამ დროს რას ეუბნება დაზარალებულებს თბილისის მერია?! ეს საკითხი ჩვენ არ გვეხება, წადით სასამართლოში და იქ არკვიეთ კონკრეტულმა კომპანიამ დაგაზიანათ თუ არა.

– კომპენსაცია ხომ მაინც უნდა გადაუხადონ დაზარალებულებს? ეს ვალდებულება არ უნდა ჰქონდეს?

– რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეს. თბილისის მერიამ უნდა გამოიკვლიოს ეს საკითხი და დაზარალებულებმა ნამდვილად უნდა მიიღონ კომპენსაცია. ამ დროს კი მერია ამ გასაცოდავებულ ხალხს ეუბნება, რომ წადი სასამართლოშიო. თუმცა, სანამ სასამართლოში წავლენ, მანამდე ექსპერტიზები უნდა ჩაატარონ. ეს ყველაფერი კი 7-8 ათასი ლარი ჯდება, ექსპერტები შეკრიბონ, ადვოკატი აიყვანონ, გარდა ამისა, დროში იწელება და არც ამის ფინანსური შესაძლებლობა აქვს ხალხს. ეს მარტო ისანში კი არა, თბილისის ყველა უბანში ხდება. მე უბრალოდ ეს ერთი კონკრეტული მაგალითი მოვიყვანე. ამ საკითხთან დაკავშირებით მერია არაფერს არ აკეთებს. დღეს ბურთიც მაგათია და მოედანიც! თუ საკანონმდებლო ბაზა არ უწყობთ ხელს, უმრავლესობაში არიან საკრებულოშიც და პარლამენტშიც. მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რომ, როდესაც ადამიანი დაზარალდება, მერიამ თავად გამოიკვლიოს ისე ეს საკითხი, რომ ადამიანს არ დასჭირეს სხვადასხვა ინსტანციებში სირბილი და თავადვე დააკისროს კომპანიას კომპენსაციის თანხა. კატასტროფული მდგომარეობა, ვიმეორებ, კატასტროფული.

– მხოლოდ სამშენებლო ბიზნესი ყვავის საქართველოშიო.

– კატასტროფა ხდება ამ კუთხით, ამიტომაა სულ საცობები, ქალაქში რომ ვეღარ გაივლი. ასევე არ არის საპარკინგე ადგილები.

„არის ასეთი კომპანია, ჯი-ემ-თი ჯგუფი, ისანში, ნავთლუღის ქუჩაზე დაიწყო მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა და დააზიანა კერძო სახლები“

თბილისი არის უკვე უბედურების ზონა. საცხოვრებელი სახლია, მაგრამ ადამიანი მანქანას ვერ გააჩერებს, იმიტომ, რომ სახლს არა აქვს საპარკინგე ადგილი. ეს არის სტანდარტები, რომელზეც თბილისის მერი გველაპარაკება?! თუ ამ გაჭირვებული ადამიანებისგან მოვითხოვთ, რომ არ ააშენონ სახლები უკანონოდ, შემდეგ მივადგებით ბულდოზერებით და ვუნგრევთ, მაშინ უკანონოდ არც მერია უნდა მოიქცეს!

– უკანონობაში რას გულისხმობთ?

– იმას, რომ არ უნდა მისცეს კომპანიებს იმის უფლება, რომ დააზარალონ მოსახლეობა და ასევე ეკოლოგიური უბედურების ზონა შექმნან ქვეყანაში. ქვეყნის კონსტიტუციაში წერია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, შეუქმნას ადამიანებს ჯანმრთელი და უვნებელი გარემო! გეკითხებით, თბილისის მერია უქმნის თუ არა ჯანმრთელ და უვნებელ გარემოს საკუთარ მოსახლეობას?! კორპუსი კორპუსზეა მიდგმული, ერთი ბუჩქი და ხე აღარ არის არსად! კატასტროფაა ის, რაც თბილისში ხდება. უვნებელი გარემოც აღარ არის, ღმერთმა ყველა დაიფაროს და ხანძარი რომ გაჩნდეს ბინაში, ისეა ეს კორპუსები აშენებული, რომ სახანძრო მანქანაც კი ვერ მივა, ფიზიკურად ვერსაიდან მიუდგება. აქედან გამომდინარე, ქალაქში ჯანმრთელი, უვნებელი და უსაფრთხო გარემო არ გვაქვს.

– და ეს თბილისის მერიის პასუხისმგებლობაა?

– რა თქმა უნდა! გამოდის, რომ კონსტიტუციას არღვევს დღევანდელი თბილისის მერია, აი ამ თავისი გადაწყვეტილებებით. საერთოდ რა სტანდარტებია, მთავარია რაღაც მიწის ნაგლეჯი ნახონ, მაშინვე კორპუსის მშენებლობას იწყებენ. როგორც სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია აქციეს ჯოჯოხეთად, ასეთი ჯოჯოხეთი ხდება უკვე თბილისის ყველა უბანში. გარეუბნები გამორჩეული სწორედ ამით იყო, მეტი გამწვანება იყო, გადაადგილება შეიძლებოდა. ვერსად ვერ გაივლი, ყველგან ჯოჯოხეთი და ბეტონის ჯუნგლებია, განმკითხავი კი არავინ არის! როგორ შენდება, ეს კიდევ ცალკე საკითხავია. არავინ არ ამოწმებს ამ მშენებლობის ხარისხს. ხშირ შემთხვევაში სამშენებლო კომპანიები შეკრულები არიან ექსპერტიზის ბიუროებთან. არ იდება სათანადო დასკვნები. ხომ ხშირად დადიან ჩვენი ჩინოვნიკები მილანსა და პარიზში, იქ ხდება ასეთი ჯოჯოხეთი?! ელემენტარულად ჩვენს ქალაქში გადაადგილებაც შეუძლებელია. სითი პარკი სანატრელი გაგვიხადეს! ახლა, ქალაქის ცენტრში რომ გინდოდეს, მანქანას ვერ გააჩერებ. ვაკეში რომ მოგინდეს მანქანის გაჩერება, საათში 10 ლარი უნდა გადაიხადო!

– გააუარესეს პირობები?

– აბა რა ქნეს! უკეთესი პირობები გექნებათო, ეს არის უკეთესი? სანატრელი გაგვიხადეს სითი პარკი. იქ წელიწადში 50 ლარს იხდიდი და სადაც გინდოდა, იქ გააჩერებდი ავტომობილს! საშინელება ხდება ამ ქალაქში, კატასტროფაა. ერთადერთი სამშენებლო ბიზნესი ყვავის ჩვენთან, სხვა ყველაფერი მკვდარია. რა, ფაბრიკა-ქარხნები გუგუნებს თუ რა?! ერთადერთი კორპუსები შენდება და რომ იცოდეთ, ამ კორპუსებშიც უცხოელები ყიდულობენ ბინებს. 80%, ზუსტად ვიცი, რომ საქართველოს მოქალაქეები არ არიან. მოვუწოდებ თბილისის მერიას, როგორი პრინციპულიც „აფრიკის“ მოსახლეობის მიმართ იყო და დაუნგრია მათ სახლები, ასეთივე პრინციპული იყოს თავისი გადაწყვეტილებების მიმართაც! ბეტონის ჯურღმულებად აქციეს ქალაქი! მოგვეცით საშუალება, რომ ვისუნთქოთ!

29 წლის გიორგი მერაბიშვილი გლდანულაში ხელყუმბარის აფეთქებით იმუქრებოდა

19 დეკემბერს, საღამოს გლდანულაში საცხოვრებელ სახლში 29 წლის გიორგი მერაბიშვილი ხელყუმბარის აფეთქებით იმუქრებოდა.

პოლიციამ მისი დაკავება შეძლო, რის შესახებაც მოგვიანებით შსს-მ განცხადება გაავრცელა:

– შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანინაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, ამჟამად ქურდობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი გ.მ. მუქარის და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ გ.მ., რომელიც გლდანის რაიონში, ახლობელთან სტუმრად იმყოფებოდა, სავარაუდოდ, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, თანნაქონი ხელყუმბარის აფეთქებით იმუქრებოდა. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ მოხდა სამართალდამცველების მობილიზება.

პოლიციელებმა გ.მ.-სთან აქტიური მოლაპარაკებების შედეგად შეძლეს სიტუაციის დროულად განმუხტვა და მისი დაკავება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 151-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და მუქარას გულისხმობს.

ადვოკატი: „ხელყუმბარა არსად ფიქსირდება“

იმ ოჯახის წევრები, სადაც მამაკაცი იმყოფებოდა, დეტალური კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ, თუმცა აცხადებენ, რომ ინციდენტის დროს სახლში არასრულწლოვანიც იმყოფებოდა.

– მათ არ ემუქრებოდა, თავის თავს ემუქრებოდა, ხელყუმბარას ვერ გეტყვით იყო თუ არა, – აცხადებს აღნიშნული ოჯახის ერთ-ერთი წევრი მამაკაცი.

ადვოკატი თამარ აბესაძე უარყოფს, რომ გიორგი მერაბიშვილი ხელყუმბარით იყო შეიარაღებული.

– მე თავად დამირეკა გიორგი მერაბიშვილმა მესენჯერის თვალის საშუალებით და მითხრა, რომ მასთან მიდიოდა პოლიცია. მე გახსნილი ხელყუმბარა მიკავია ხელში და თუ არ მოხვალ, მე მათ არ ჩავბარდები, თუ მოხვალ, უსაფრთხოდ ვიქნებიო. მას ჰქონდა ეჭვი და შიში – შეიძლება ჩემი ლიკვიდაცია მოახდინონო. პოლიციასაც გაუგზავნა, როგორც ვიცი, ვიდეოები თუ ლაივში ესაუბრა, არ ვიცი. ამის შემდეგ პოლიცია დამიკავშირდა და მითხრა, რომ უნდა დავხმარებოდი. მათ რომ არ ეთქვათ, მე მაინც უნდა წავსულიყავი, საფრთხის შემცველი იყო, რას იზამდა, არ ვიცოდით – ინფორმაცია გაჟღერდა, რომ გახსნილ მდგომარეობაში ეკავა ხელყუმბარა და სანამ არ მივიდოდით, ჩვენ არ ვიცოდით, რეალურად რა ხდებოდა.

ამიტომ წავედი, გზაზე შემხვდა პოლიცია და მოვილაპარაკეთ, რომ არ უნდა ყოფილიყო გაღიზიანება. პირი ითხოვდა ჩემს მისვლას და ამ შემთხვევაში ამბობდა, რომ ჩაბარდებოდა. იმის ფიქრიც ჰქონდა, რომ რაიმე არ ჩაედოთ, ან ქმედების დამძიმება არ მომხდარიყო.

პირველი მე შევედი, ხელები ასწია, ტანზე გაიხადა და მერე უკვე პოლიციაც შემომყვა – 50 მეტრის დაშორება იყო. ამ დროს მე ვიდექი უკვე მის გვერდით და მას საფრთხე არ ემუქრებოდა – არსებობენ პირები, რომლებიც პოლიციას მტრად აღიქვამენ, ასეთი ფიქრები ჰქონდა და ამიტომ ითხოვდა ჩემს მისვლას. არაფერი არ ჰქონდა ხელში აბსოლუტურად. არც არაფერია ჩხრეკის შედეგად ამოღებული. ძალიან სულელი იქნებოდა, რაიმე ჰქონოდა ხელში, – აცხადებს თამარ აბესაძე.

მისივე თქმით, როცა ის სახლში შევიდა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მარტო იმყოფებოდა.

– საქმე არის დაწყებული მეუღლესთან კონფლიქტზე. ცოლქმარი ცხოვრობენ თემქაზე, კონფლიქტი რომ მოუვიდათ, ეს ბიჭი გაერიდა და წავიდა ბიძამისთან გლდანში. ეს ბიჭი იყო გლდანში და როგორც ვიცი, მეუღლემ დაუწერა საჩივარი, – განაცხადა აბესაძემ.

თეონა თამაზაშვილი: „როგორი ჯოჯოხეთიც მომიწყვეს, ისეთი ჯოჯოხეთი მოეწყობა მათაც“

– იმის ილუზია ნუ ექნებათ, რომ მშვიდი ძილით დაიძინებენ, არიქა გავიმარჯვეთ არჩევნებში, დავხურეთ საქმე და ახლა ბედნიერად ვიცხოვრებთო. როგორი ჯოჯოხეთიც მომიწყვეს, ისეთი ჯოჯოხეთი მოეწყობათ მაგათაც.

ამის შესახებ 23 წლის გარდაცვლილი პროგრამისტის, თამარ ბაჩალიაშვილის დედამ, თეონა თამაზაშვილმა განაცხადა.

როგორც მან „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ აღნიშნა, საკმაო მტკიცებულებები არსებობს იმისთვის, რომ ოჯახმა სტრასბურის სასამართლოში იჩივლოს.

– თუკი თამუნა თვითმკვლელობას გეგმავდა ამდენი ხნის მანძილზე, რაში სჭირდებოდა ელექტროშოკი? ჩამოვაყალიბებ ამასაც და ვეტყვი ამ წამლების დასახელებებსაც. შეიძლება, მიზანმიმართულად აბარებდნენ, აფთიაქში არის ჩანაწერი, რომ ეუბნება, ჩემთვის არ მინდა ეს წამალი, სხვამ დამაბარაო. თუნდაც, ბუზების არსებობა დახურულ სივრცეში, მაინტერესებს, ისინიც ეგრე იფიქრებენ, რომ ბუზებს შეეძლოთ სისხლის წვეთების გადატანა? ან მამაკაცის უცხო დნმ მანქანაში?

ძალიან ბევრი მტკიცებულებებია, შეიძლება უცებ ყველაფერი ვერ გავიხსენო. იმის ილუზია ნუ ექნებათ, რომ მშვიდი ძილით დაიძინებენ, არიქა გავიმარჯვეთ არჩევნებში, დავხურეთ საქმე და ახლა ბედნიერად ვიცხოვრებთო. როგორი ჯოჯოხეთიც მომიწყვეს, ისეთი ჯოჯოხეთი მოეწყობათ მაგათაც. ბაჭულაშვილმა რომ დაგვირეკა და გვითხრა, თქვენი შვილი შარშიაო. ვითომ კარგად დაგეგმეს თვეების მანძილზე მზაკვრულად ინსცენირებული თვითმკვლელობა, მაგრამ მაინც ბევრი შეცდომა გაეპარათ და ზუსტად ამით გასაჩივრდება სტრასბურში, – განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

საქართველოს პროკურატურამ თამარ ბაჩალიაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთის და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეზე გამოძიება დაასრულა.

როგორც პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განმარტეს, მოპოვებული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ თამარ ბაჩალიაშვილის მიმართ დანაშაულის ჩადენას ადგილი არ ჰქონია და მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ზურაბ ბარბაქაძე: „დედა 15 ნოემბერს 10 საათზე გარდაიცვალა, არავისთვის მითქვამს უსახსრობის გამო“

18 დეკემბერს თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, საცხოვრებელ ბინაში 1 თვის წინ გარდაცვლილი ქალის ცხედარი იპოვეს.

პოლიციის თანამშრომლები ერთერთმა მეზობელმა მას შემდეგ გამოიძახა, რაც კორპუსში მძიმე სუნი იგრძნო. პოლიციის წარმომადგენლებმა კი, ბინაში 66 წლის გარდაცვლილი ქალის ცხედარი იპოვეს.

38 წლის მამაკაცი, რომელიც გარდაცვლილის შვილია, 1 თვის განმავლობაში დედის ცხედართან ერთად ცხოვრობდა.

– მითხრა, რომ დედა გარდაეცვალა და ჩვეულებრივად მივუსამძიმრე და ვუთხარი, რომ არ დამინახავს, როდის გაასვენა და მითხრა, რომ არ გაუსვენებია, ჰყავს სახლში. მიზეზი, ალბათ, უსახსრობაა, თვითონ იძახის და ვნახოთ, გამოძიება რას იტყვის, – ამბობს ერთერთი მეზობელი.

ტვ „პირველმა“ მოიპოვა გაბრიელ სალოსის ქუჩაძე გარდაცვლილი ალა ჩიბისოვას შვილის, ზურაბ ბარბაქაძის კომენტარი მომხდარზე.

ზურაბ ბარბაქაძე:

– დედაჩემი 15 ნოემბერს საღამოს 10 საათზე გულის შეტევით გარდაიცვალა. მანამდე კი ძლივს დადიოდა, ყველაფერი გამოსული ჰქონდა წყობიდან.

– რამდენი წლის იყო დედა?

– 66-ის. სულ პარალიზებული იყო. თვითონ არ ეგონა, ვინ ელოდებოდა სიკვდილს.

– რატომ არ შეატყობინეთ არავის?

– უსახსრობის გამო. ვფიქრობდი, შეშინებული ვიყავი. არ ვიცით, რა.

შსს-მ კოვიდ-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოქმედი რეგულაციების დარღვევის 849 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ. სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ბოლო 24 საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში მოქმედი რეგულაციების დარღვევის 849 ფაქტი გამოვლინდა. პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად 104 ფიზიკური პირი დააჯარიმა. დაჯარიმებულთა შორის არიან მოქალაქეები, რომლებმაც 21 საათიდან დილის 5 საათამდე დაწესებული გადაადგილების შეზღუდვის წესი დაარღვიეს. გარდა ამისა, 24 საათის განმავლობაში პირბადის ტარების წესის დარღვევის ფაქტზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42(11)-ე მუხლის შესაბამისად 745 ფიზიკური პირი დაჯარიმდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს მოქალაქეებს, გამოიჩინონ მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და დაემორჩილონ არსებულ რეგულაციებს. პირბადის ტარების წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(11) -ე მუხლის შესაბამისად ჯარიმას 20 ლარის ოდენობით. იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და ასკ-ის 42(10)-ე მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 10 000 ლარის ოდენობით. განმეორებითი ჯარიმა კი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

17 წლის რ.ნ-ს დახმარებით სხვადასხვა ანგარიშებიდან 72.500 ლარი მოიპარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ანგარებით ჩადენილი კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და დიდი ოდენობით ქურდობის ბრალდებით, 3 პირი: 1991 წელს დაბადებული გ.ა., 1996 წელს დაბადებული ო.ა. და 1995 წელს დაბადებული ბ.ა. დააკავეს. პოლიციამ ამავე ფაქტებზე 2003 წელს დაბადებული რ.ნ. ამხილა.

დანაშაული 6-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არასრულწლოვანმა რ.ნ.-მ შექმნა ერთ-ერთი ბანკის ინტერნეტ-ბანკის მსგავსი – ე.წ. ფიშერული გვერდი, რომელიც ბმულის სახით გაავრცელა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“. იგი ინტერნეტმომხმარებლებს გათამაშებაში მონაწილეობას სთავაზობდა. მოქალაქეები ტყუვდებოდნენ და ფიშერულ გვერდზე, შესაბამის ველში შეჰყავდათ საკუთარი ინტერნეტბანკის პირადი მონაცემები, რომლებიც ავტომატურად ცნობილი ხდებოდა რ.ნ.-სთვის. აღნიშნული მონაცემების საშუალებით, რ.ნ. მოტყუებული მოქალაქეების ანგარიშებზე არსებულ თანხებს მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლებოდა, რის შემდეგაც ფულს თანამზრახველების საბანკო ანგარიშებზე, ასევე, ციფრული ვალუტის ანგარიშებზე რიცხავდა.

ბრალდებულმა გ.ა.-მ, აღნიშნულ დანაშაულში ასევე სხვა ბრალდებულ პირებს – ო. ა.-ს და ბ. ა.-ს, გარკვეული სარგებლის დაპირების სანაცვლოდ, ე.წ. ელექტრონული საფულეები დაარეგისტრირებინა, საიდანაც შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ფარულად დაუფლებული თანხები გაანაღდეს.

ბრალდებულები 8 მოქალაქის საბანკო ანგარიშებიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ, ჯამში, 72.500 ლარს.

ბრალდებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ.

გამოძიება ანგარებით ჩადენილ კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევისა და დიდი ოდენობით ქურდობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 158-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების „ა“ ქვეპუნქტებით, 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

„112“-ს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონული დირექტორი ეწვია

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბუთხუზმა და „112“-ის დირექტორმა, გიორგი არსოშვილმა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულ დირექტორს – ჰანს კლუგეს და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს – ეკატერინე ტიკარაძეს უმასპინძლეს. შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე – თამარ გაბუნია. სტუმრებმა ქოლ-ცენტრი დაათვალიერეს და გაეცნენ „112“-ის მუშაობის სპეციფიკას, თუ რა პროცესი მიმდინარეობს მოქალაქის მიერ 112-ზე დარეკვიდან შესაბამის სამსახურებთან გადამისამართებამდე.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს ის ფუნქციები, რომელიც პანდემიის დროს დაემატა „112“-ის ცენტრს. შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ აქტიურად არის ჩართული კორონავირუსის მართვის პროცესში და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რათა თითოეულმა მოქალაქემ დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიიღოს.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონულმა დირექტორმა – ჰანს კლუგემ დადებითად შეაფასა „112“-ის მუშაობა და ის აქტივობები, რომლებიც „112“-მა კორონავირუსის ეფექტურად მართვისთვის შეიმუშავა.

თბილისის ზღვაზე მანქანაში ცხედარი იპოვეს

19 დეკემბერს თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მანქანაში ცხედარი იპოვეს.

სამართალდამცველებს მანქანის შემოწმება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც მიიჩნიეს, რომ ის ზღვასთან საეჭვოდ დიდი ხნის განმავლობაში იდგა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

ბაღდათთან ავარიაში იმედა ოქროჭელიძე და მისი ცოლ-შვილი დაიღუპნენ

ბაღდათი-ქუთაისის გზაზე ავტომობილი გზის სავალი ნაწიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა. ავარიას სამი ადამიანი ემსხვერპლა.

გარდაცვლილები არიან ბაღდათის რაიონის სოფელ ფერსათში მცხოვრები იმედა ოქროჭელიძე, მისი მეუღლე ცუნცულა ენდელაძე და 16 წლის შვილი, ბექა ოქროჭელიძე.

– ძვირფასი ოჯახი იყო, კარგი ადამიანები. ეკლესიურები იყვნენ. ტრაგედია მოხდა, მშობლები და 16 წლის ბიჭი დაიღუპნენ. არ ვიცით, რა მოხდა, მოძრაობდნენ თუ არა მაღალი სიჩქარით. დეტალები არ ვიცით, ცოტა ხნის წინ მოხდა, – აცხადებენ სოფელ ფერსათის მაცხოვრებლები.

ავარიის ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცველები და ექსპერტ-კრიმინალისტები.

ნეთანიაჰუმ კოვიდ 19-ის აცრა პირდაპირ ეთერში გაიკეთა

„თავს მშვენივრად ვგრძნობ“

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ, რომელმაც 19 დეკემბერს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა პირდაპირ ეთერში გაიკეთა, აცხადებს, რომ თავს მშვენივრად გრძნობს და მოქალაქეებს მოუწოდებს, მის მაგალითს მიბაძონ.

– გუშინ მივიღე პირველი ვაქცინა. თავს მშვენივრად ვგრძნობ. მოვუწოდებ ისრაელის ყველა მოქალაქეს, გამოვიდეს და აიცრას. თუკი ყველა ჩვენგანი, ან დიდი ნაწილი მაინც აიცრება, ჩვენ ამ ავადმყოფობას დავამარცხებთ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის 20 დეკემბრის სხდომაზე.

მისი თქმით, ისრაელის ხელისუფლება და ექსპერტები მოწოდებულნი არიან საიმისოდ, რომ აღკვეთონ ქვეყანაში ახალი ტიპის კორონავირუსის შემოსვლა, რომელიც დიდ ბრიტანეთში გამოვლინდა.

– ამ დროისთვის არ გაგვაჩნია არავითარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩვენთან არსებული ვაქცინა არაეფექტურია ახალი მუტაციის წინააღმდეგ. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ვითარება უმჯობესდება. რა თქმა უნდა, ჩვენ ვსწავლობთ და ყურადღებით ვადევნებთ თვალს მოვლენათა განვითარებას, – განაცხადა ბენიამინ ნეთანიაჰუმ.

ბულგარეთიდან რუსეთის სამხედრო ატაშე გააძევეს

ბულგარეთიდან რუსეთის სამხედრო ატაშე ვასილი საზანოვიჩი გააძევეს.

გამოძიებით დამტკიცდა, რომ ის დიპლომატის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობასაც ეწეოდა. საზანოვიჩი აგროვებდა საიდუმლო მასალებს ბულგარეთში დისლოცირებულ ამერიკელ სამხედროებზე, ასევე მასალებს აშშ-ბულგარეთის ერთობლივ სამხედრო სწავლებებზე.

ყველაფერ ამას ის რუსეთის სამხედრო დაზვერვას გადასცემდა.

დიდ ბრიტანეთში კორონავირუსი, რომელმაც მუტაცია განიცადა, ჯერ კიდევ სექტემბერში დაფიქსირდა

კორონავირუსი, რომელმაც მუტაცია განიცადა, ჯერ კიდევ სექტემბერში დაფიქსირდა დიდ ბრიტანეთში. ის უკვე ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ამის შესახებ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტმა მარია ვან კერკჰოვემ ბიბისის განუცხადა.

– დიდმა ბრიტანეთმა ის აღმოაჩინა სექტემბერში. ის გაჩნდა ინგლისის სამხრეთ აღმოსავლეთში. ჩვენ მუდმივად ვხედავთ, როგორ ვლინდება კორონავირუსის მუტაცია. საჭიროა მათი შესწავლა, როგორ ვრცელდება და რა შედეგები აქვს, – განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ გაერთიანებულ სამეფოში აღმოჩენილი ვირუსის მუტაცია, ასევე გამოვლინდა დანიაში, ნიდერლანდებსა და ავსტრალიაში.

დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის მინისტრმა მეთ ჰენკოკმა 14 დეკემბერს განაცხადა, რომ ბრიტანელმა მეცნიერებმა კორონავირუსის ახალი ვარიანტი გამოავლინეს, რომელმაც მუტაცია განიცადა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საქართველო შესარჩევ ეტაპს უმასპინძლებს

საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის მასპინძლობის უფლება მიიღო, რომელიც 2021 წლის 12-14 მარტს გაიმართება. ჩვენებთან ერთად ჯგუფში ბრიტანეთი, ბულგარეთი და კვიპროსი არიან.

წილისყრა დანიის ქალაქ ჰერნინგში გაიმართა, სადაც ასევე გაირკვა, რომ ევრო 2024 ფინალური ტურნირი გერმანიაში გაიმართება.

4 ნაკრები კვალიფიკაციას პირველი რაუნდიდან იწყებს და 2 გამარჯვებული გავა მე-2 ეტაპზე, ფლეი ოფში. მათ დაემატება ლუქსემბურგი და ერთა თასის საუკეთესო ევროპული გუნდი. ფლეი ოფი 2022 წლის პირველ ნახევარში უნდა გაიმართოს.

გამარჯვებულები 2022 წლის შემოდგომაზე დაიწყებენ მთავარ შესარჩევ რაუნდს, რომელშიც ევროპის 32 უძლიერესი გუნდი ითამაშებს. გათამაშდება ფინალური ეტაპის 20 საგზური.

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი იანვარში უნდა გამართულიყო, მაგრამ ევროპის ხელბურთის ფედერაციამ, პანდემიის გამო, მარტისთვის გადადება ამჯობინა.

პირველი შესარჩევი ეტაპი – **12 მარტი:** ბულგარეთი-ბრიტანეთი, საქართველო-კვიპროსი; **13 მარტი:** კვიპროსი-ბულგარეთი, საქართველო-ბრიტანეთი; **14 მარტი:** ბრიტანეთი-კვიპროსი, საქართველო-ბულგარეთი.

რუსები ჰიმნის და დროშის გარეშე დარჩნენ

ლოზანის სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ (კას) რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტოსა (რუსადა) და მსოფლიო ანტისადოპინგო სააგენტოს (ვადა) შორის დავასთან დაკავშირებით საკუთარი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა, რამაც უახლოეს წლებში რუსული სპორტის ბედი განსაზღვრა.

მოსკოვის ანტიდოპინგური სააგენტოს მონაცემთა ბაზის მანიპულაციისთვის, ვადა რუსეთისთვის 4-წლიან მოკვეთას მოითხოვდა. საარბიტრაჟო სასამართლომ ვადა-ს მხარე კი დაიჭირა, მაგრამ სანქციები გაანახევრა. კას-ის გადაწყვეტილებით, რუს სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებზე და მსოფლიო ჩემპიონატებზე სახელმწიფო დროშით გამოსვლა 2 წლით აეკრძალათ, თავად ქვეყანას კი, დიდი საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობა.

სანქციები ძალაში დაუყოვნებლივ შევიდა და გაგრძელდება 2022 წლის 16 დეკემბრამდე. გარდა ამისა, რუსეთის ანტისადოპინგო სააგენტოს კვლავაც ჩამორთმეული აქვს შესაბამისობის სტატუსი და ვალდებულია, გამოძიების ხარჯების დასაფარავად ვადა-ს 1,27 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი რუსეთისთვის ტოკიოს 2020 წლის და პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე აისახება, ასევე 2022 წლის ყატარის საფეხბურთო მსოფლიო თასზე და რიგ მსოფლიო ჩემპიონატებზე. ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებზე რუსეთიდან მხოლოდ იმ სპორტსმენებს დაუშვებენ, რომლებსაც დოპინგთან დაკავშირებით პრობლემები არ ჰქონიათ.

საგულისხმოა, რომ სანქციები არ შეეხება ევროპის ჩემპიონატებს და ევროთასებს. შედეგად, რუსეთში გაიმართება ევრო 2020-ის მატჩები და 2022 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი.

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება არ ექნებათ, 2 წლის განმავლობაში დაესწრონ ოლიმპიურ და პარაოლიმპურ თამაშებს და მსოფლიო ჩემპიონატებს, თუ მათ უშუალოდ არ მიიწვევენ ორგანიზატორები. ამასთან, რუსეთის ნაკრების წევრთა უნიფორმებზე მათი სტატუსი განსაზღვრული იქნება, როგორც „ნეიტრალური ათლეტი“. მათ ასევე ეკრძალებათ შეჯიბრებათა ოფიციალურ ადგილებზე ეროვნული ჰიმნის შესრულება, მაგრამ აკრძალვა არ ვრცელდება ტრიბუნებზე მყოფი გულშემატკივრებისთვის.

მესი პელეს დაეწია

ბარსელონამ ვალენსიას ვერ აჯობა – 2:2, მაგრამ მესიმ კიდევ ერთი რეკორდი გაიმეორა და სამომავლოდ შეუტევს, რაც მომავალ ტურშივე შესაძლებელია მოხდეს,

პირველი ტაიმის მე-4 კომპენსირებულ წუთზე გრიზმანის წაქცევისთვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი მესიმ ცუდად დაარტყა, მაგრამ გამოვარდნილ ბურთზე ისევ მასპინძლებმა იყოჩაღეს და არგენტინელმაც თავურით გაიტანა.

ეს არგენტინელის 643-ე გოლი გამოდგა კატალონიური კლუბის მაისურით გატანილი. ამ მაჩვენებლით ის „ფეხბურთის მეფეს“ პელეს გაუთანაბრდა, რომელსაც სანტოსში ამდენივე გოლი აქვს შეგდებული.

თავად პელემ მესის ეს მიღწევა სოციალურ ქსელში გულთბილად მიულოცა:

– გილოცავ ისტორიულ რეკორდს. უპირველესად კი, ბარსელონაში გატარებულ წლებს. სამწუხაროდ, ისტორიაში ისეთი პრეცედენტები, როგორიც ჩვენ შევქმენით, როცა ამდენ ხანს ვთამაშობდით ერთსა იმავე კლუბში, სულ უფრო ცოტა იქნება. აღფრთოვანებული ვარ შენით ლეო!

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯალეიდოსკოპი

ნიანგმა ახალგაზრდა გეპარდი დაიჭირა და შეჭამა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ნიანგმა ახალგაზრდა გეპარდი დაიჭირა, წყალქვეშ ჩაითრია და შეჭამა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ექსკურსიამძღოლი ბუსანი მტშალი დამთავლიერებლებისთვის ონლაინ-ექსკურსიას ატარებდა და წყალსატევთან ორ ბოკვერთან ერთად მისული ძუ გეპარდი შენიშნა. მან ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ მივიდა ახალგაზრდა ხვადი გეპარდი წყალსატევთან და ფრთხილად შეუდგა წყლის სმას. მოულოდნელად წყლიდან ნიანგი ამოიჭრა და მას კბილებით ჩააფრინდა.

რეპტილიამ წამებში ჩაითრია წყლის სიღრმეში თავისი ნადავლი და შეჭამა. ძუ გეპარდი და მისი მეორე ბოკვერი ნაპირთან იდგნენ და თვალს ადევნებდნენ ამ ყველაფერს.

– სამწუხაროდ, ახლა ჩვენ ერთი ახალგაზრდა ხვადი გეპარდი დავკარგეთ, – განაცხადა მშტალმა, – ეს ძალიან, ძალიან სამწუხარო და გულსატკენი ამბავია.

ჟირაფმა ტურისტები აიძულა, ექსკურსია შეეწყვიტათ და გაქცეულიყვნენ

კენიის ნაკრძალ მასაი-მარაში მოზრდილი ჟირაფი ტურისტებს გამოეკიდა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

ვიდეოს ავტორის, 27 წლის დიკენ მუჩენის თქმით, ჯუნგლებში ექსკურსიის დროს ავტომობილი, რომელშიც ტურისტები ისხდნენ, შეჩერდა ჟირაფების მახლობლად, რომლებიც ბალახს ძოვდნენ. მოულოდნელად ერთ-ერთი ცხოველი ადამიანებით დაინტერესდა და მათკენ გაიქცა. ტურისტები იძულებული გახდნენ, სასწრაფოდ შეეწყვიტათ ექსკურსია და იქაურობას გასცლოდნენ.

ჟირაფმა დევნა არ შეწყვიტა და მიმავალ მანქანას გაეკიდა. ის სწრაფად წამოეწია ავტომობილს. როდესაც მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა, ცხოველს თავდასხმა არ უცდია, ხოლო როდესაც მანქანა ისევ დაიძრა ადგილიდან, ჟირაფი ისევ გამოეკიდა.

ამერიკაში დიდი ზომის ოქროს თევზი აღმოაჩინეს

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატში დიდი ზომის ოქროს თევზი აღმოაჩინეს.

ეს აღმოჩენა პარკებისა და დასვენების ზონის სამსახურის თანამშრომლებს ეკუთვნით, რომლებიც ტბა ოკ-გროვ-ლეიკში წყლის ხარისხს ამოწმებდნენ. ერთ-ერთი ტესტის დროს წყალში უშვებენ ელექტროდებსა და დენს. მისი ზემოქმედების შედეგად თევზი წყლის ზედაპირზე ამოდის და მათ ექსპერტები ათვალიერებენ. ამჯერად ტბიდან 38 სანტიმეტრი სიგრძის ოქროს თევზი ამოხტა, რომლის წონამ ოთხი კილოგრამი შეადგინა. დათვალიერების, გაზომვისა და აწონის შემდეგ თევზი ისევ წყალში დააბრუნეს.

ჩვეულებრივ, ოქროს თევზები სამხრეთ კაროლინის წყალსატევებში არ ბინადრობენ, ამიტომ სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის ვიღაცამ გაუშვა ტბაში. როდის მოხდა ეს, უცნობია, თუმცა ერთი რამ ნათელია – ათი წლის წინ ამ ტბაში ჩატარებული ანალოგიური შემოწმების დროს იქ ამ სახეობის თევზი არ დაუფიქსირებიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ილია ჭავჭავაძის აბრა მისივე სახელობის განახლებულ გამზირზე გდია

მწერლისა და პოეტის ილია ჭავჭავაძის აბრა მისივე სახელობის განახლებულ გამზირზე გდია.

ინფორმაცია და ფოტო სოციალურ ქსელში გვერდმა „ჩემი ქალაქი მკლავს“ გაავრცელა:

– განახლებულ ჭავჭავაძის გამზირზე, სექტემბრიდან მოყოლებული, ილია ჭავჭავაძის აბრა ძირს გდია.

ასე დაიწყო ეს კამპანია 2017 წელს: „თბილისის ქუჩებში ელექტრონული ბიბლიოთეკების განთავსება დაიწყო. ორი თვის განმავლობაში, თბილისის 50 ქუჩაზე, ბაღებში, პარკებში, მეტროპოლიტენში უფასო ელექტრონული ბიბლიოთეკები განთავსდება, რაც ასობით ელექტრონულ წიგნს ხელმისაწვდომს გახდის ნებისმიერი მსურველისთვის.“

ილია ჭავჭავაძის განახლებული გამზირი უკვე გახსნილია, თუმცა მისი აბრა თვეებია უპატრონოდ გდია.

რუსლან მიქაბერიძე 81 წლის ასაკში გარდაიცვალა

მსახიობი რუსლან მიქაბერიძე 81 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იგი სხვადასხვა წლებში მოზარდ მაყურებელთა თეატრის, მარჯანიშვილის თეატრისა და რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. წერდა ლექსებს და გამოსცა 5 კრებული.

გია კორკოტაშვილი:

– ესეც პატრიოტი იყო და თქვენც, თქვე ფარჩაკებო! უყურადღებობაში და მოუფერებლად გავიდა იმქვეყნად! ქართველებმა მარტო გარდაცვლილის ფასი იციან, ისიც ან იციან და ან არა.

დავით ანდღულაძე გარდაიცვალა

რეჟისორი დავით ანდღულაძე 64 წლის ასაკში გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზად მისი ახლობლები ფილტვის სიმსივნეს ასახელებენ.

დავით ანდღულაძე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და პედაგოგი იყო. რკინის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი სხვადასხვა წლებში მუშაობდა ახმეტელის, მარჯანიშვილის თეატრებში, რეჟისორად საქართველოს ტელევიზიაში.

სამწუხარო ინფორმაცია ახმეტელის თეატრმა გაავრცელა:

– არსებობენ რეჟისორები, რომლებიც კონკრეტული თეატრის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ, თეატრის ისტორიის ნაწილი ხდებიან, მათი სპექტაკლები კი ამ თეატრის ისტორიის გამორჩეული ფურცლები.

ასეთი იყო რეჟისორი დავით ანდღულაძე თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრისათვის, სადაც ის წლების განმავლობაში იყო სამხატვრო ხელმძღვანელი.

მისი სპექტაკლები, რომელთაც შემდეგ თეატრის შემოქმედებითი მიმართულება განსაზღვრეს, საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად იქცნენ ქართული თეატრის ისტორიაში, „მეორე მოსვლა, ანუ ვიზიტი“, „ღალატი“, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ სპექტაკლები, რომლებიც მრავალი პრემიითა და ჯილდოთი აღინიშნა და განსაკუთრებით შეიყვარა ქართველმა მაყურებელმა. ეს იყო ახალი ხერხებითა და მეთოდით წარმოდგენილი მანამდე ქართული სცენისათვის უცნობი დრამატურგია, რომლითაც რეჟისორმა დავით ანდღულაძემ ქართულ თეატრს ახალი სული შთაბერა...

მშვიდობით, მაესტრო!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქუთაისი და რუსთავი ისევ უდანაკარგოდ არიან

ქუთაისი-ბათუმი 125:88

(41:27, 30:24, 29:17, 25:20)

კოტე ტუღუშის გუნდი აგრძელებს დაუმარცხებელ სვლას და ზედიზედ მე-7 მატჩი მოიგო. რიონისპირელებისა და ზღვისპირელების თამაში კი მხიარული გამოდგა – „ოლ სტარის“ მსგავსი. გუნდებს თითქოს დაცვა მოშიშვლებული ჰქონდათ და მთელი აქცენტი შეტევებზე გადაეტანათ, ეს კი უკეთესად ქუთაისელებს გამოუვიდათ.

ტუღუშის გუნდი განსაკუთრებით პერიმეტრიდან უტევდა შესაშური პროცენტული მაჩვენებლით და 37-დან 22 (59%) 3-ქულიანი ჩააგდეს, მაშინ როდესაც, ბათუმელებმა ეს სულ 6-ჯერ მოახერხეს.

ქუთაისმა პირველი მეოთხედი 14 ქულით მოიგო, შემდეგ კი მეთოდურად ზრდიდა უპირატესობას და მატჩის ბოლოს სულაც სათადარიგოები დატვირთა.

გამარჯვებულთაგან 7 კალათბურთელი ასცდა 10-ქულიან ზღვარს, მათგან ქარიმ რენსონმა (21 ქულა, 10 პასი) და აკაკი დვალიშვილმა (16 ქულა, 10 მოხსნა) ორმაგი დუბლი შეასრულეს. ბათუმელთაგან ორმაგ დუბლამდე ერთი პასი დააკლდა ლევან მასხულიას (11 ქულა, 9 პასი).

რუსთავი-ოლიმპი 75:57

(20:15, 20:16, 18:13, 17:13)

ქვემოქართლელებმა სუპერლიგის მე-5 მატჩი ოლიმპთან შინაურ კედლებში გამართეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს – 75:57.

წაგებული პირველ პერიოდის (15:20) შემდეგ სწრაფი და დაბალანსებული შეტევების ხარჯზე როგავას გაწვრთნილმა გუნდმა ანგარიში გაათანაბრა (26:26) და მასპინძელთა მწვრთნელს წუთშესვენების აღებაც მოუხდა.

რუსთაველებმა თამაში დააწყნარეს, მედგარი დაცვით ოლიმპელთა შეტევები შეაჩერეს და კომბინაციების გათამაშებას მიჰყვეს ხელი. საიმედო უკანა ხაზის წყალობით, რომელსაც მალიქ უაითისა და მაიკ დევისის ფეთქებადი ტანდემი შეადგენდა, რუსთაველებმა ლიდერობის გამყარება დაიწყეს და დიდი შესვენებისთვის 40:31 დაწინაურდნენ.

მე-2 ნახევარში ვითარება არ შეცვლილა. რუსთაველები ლიდერობას ნელა, თუმცა პერმანენტულად ზრდიდნენ და ბოლო პერიოდის ახალდაწყებულზე მეტოქეს 20 ქულით გაექცნენ. ყველაფერიც აქ გაირკვა. ოლიმპს არ აღმოაჩნდა იმის რესურსი, რომ შინ მოთამაშე სუპერლიგის ერთ-ერთი ფავორიტისთვის დიდი ლიდერობა გაებათილებინა. საბოლოოდ მასპინძლები მშვიდად მივიდნენ გამარჯვებამდე და სუპერლიგის ცხრილში კვლავ უდანაკარგოდ, მაგრამ, ჯერჯერობით, მე-8 ადგილზე არიან.

გამარჯვებულებს 20 ქულითა და 10 მოხსნით მაიკ დევისმა ულიდერა. 14 ქულა და 11 მოხსნა ჯილან ვაშინგტონმა, ხოლო 10 ქულა, 9 პასი და 7 მოხსნა მალიქ უაითმა მიითვალა. ოლიმპში 9 ქულითა და 15 მოხსნით ყველაზე სარგებლიანი იყო ბუნდუ აბდულაი. 15 ქულა და 9 მოხსნა კახა ჯინჭარაძემ მიითვალა. ოთარ ფხაკაძის ანგარიშზე 11 პასი და 7 ქულა დაგროვდა.

ცხუმ აფხაზეთი-თსუ 80:83

(18:23, 15:24, 20:19, 27:17)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა და სუპერლიგაში პირველი ადგილი გაიმყარა. თსუ-ს ყველაზე მეტი, 9 მატჩი აქვს ჩატარებული და სწორედ ამის ხარჯზე ლიდერობს (6 მოგება, 3 მარცხი), თორემ დაკარგული ქულების მიხედვით, ლიდერები ქუთაისი და რუსთავი არიან.

უნივერსიტეტელებმა პრინციპულ მეტოქეს მოუგეს. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილ ცხუმ-აფხაზეთს 4 მოგების წილ მხოლოდ 2 მარცხი ჰქონდა და გამარჯვების შემთხვევაში, ხსენებული დაუმარცხებელი გუნდების შემდეგ, დაკარგული ქულებით მე-3 ადგილზე გადადიოდა.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. ანგარიში ძირითადად თსუ-ს მიჰყავდა და საკმაოდ დამაჯერებლადაც, თუმცა ბოლო წუთებზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ბოლო პერიოდის დაწყებისას უნივერსიტეტელები 66:53 იგებდნენ და ერეკლე ლორთქიფანიძის სამქულიანის შემდეგ 16 ქულით გალიდერდნენ. აქ კი თსუ ცოტა მოეშვა, ცხუმ-აფხაზეთის კალათბურთელებმა კი ბოლომდე იბრძოლეს და თითქმის უიმედო სიტუაციიდან მოგების რეალური შანსი გაიჩინეს.

ალექსანდრე ფევაძის, რაჰიმ ჯონსონის, ნოდარ გოგოძის შედეგიანობითა და დანარჩენი გუნდელების მომეტებული ბრძოლისუნარიანობით ცხუმ-აფხაზეთმა მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა – 76:77. თსუ-სთვის ეს განგაშის ზარივით იყო და ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა დარჩენილ დროში ყველაფერი გააკეთა, რომ ერთხელ უკვე მოგებული თამაში გადაერჩინა. დასკვნით წუთებში უნივერსიტეტელებმა დამაჯერებლად ითამაშეს როგორც დაცვაში, ისე შეტევაში და გამარჯვებამდეც მივიდნენ – 83:80.

თსუ-ში 22 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო ქუენთინ დავი. 16 ქულა და 7 მოხსნა საბა ლობჯანიძემ დააგროვა. ბრენდონ სლაის ანგარიშზე კი 13 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი დაგროვდა. ცხუმ-აფხაზეთის შემადგენლობაში თითქმის იდენტური სტატისტიკა ჰქონდათ ალექსანდრე ფევაძეს (21 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი) და რაჰიმ ჯონსონს (21 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი). 10-10 ქულა ნოდარ გოგოძემ და ტაილერ გრინმა მიითვალეს.

ტიტები-კაკტუსი 65:75

(12:19, 16:5, 23:27, 14:24)

არჩილ ყღენტის გაწვრთნილმა კაკტუსმა პრინციპულ დაპირისპირებაში ტიტებს სძლია. მანუჩარ მარკოიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა ჩინებულად ითამაშა ბოლო პერიოდამდე, თუმცა მატჩის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი ჩააგდო და საბოლოოდ 10 ქულის სხვაობით – 65:75 დამარცხდა.

არადა, ტიტებმა საკმაოდ რთული სიტუაციიდან დაიძვრინა თავი, როცა 5:19 ჩამორჩენილმა თამაში დაალაგა და 14-ქულიანი ჩამორჩენა მეორე პერიოდშივე გააბათილა, ხოლო თამაშის მე-19 წუთზე ტიტები უკვე თავად გალიდერდა – 25:24.

დიდი შესვენების შემდეგ ტიტებმა გუნდური თამაშის წყალობით 11-ქულიანი ლიდერობაც მოიპოვეს და თითქოს მეტოქე წელში გატეხეს, მაგრამ კაკტუსელებს სამი ჰეინს-ჯონსმა გაუმართლა. გუნდის ამერიკელი ლიდერი თითქმის შეუჩერებელი იყო და შედეგიანობაში თანაგუნდელებიც აიყოლია.

ჯონსმა მე-3 პერიოდის დამასრულებელ სირენასთან ერთად ჩაგდებული შორეული 3-ქულიანით ანგარიში გაათანაბრა – 51:51, რის შემდეგაც კაკტუსმა სადავეები ხელთ იპყრო და ბოლო პერიოდში ისე ჩაამთავრა თამაში, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო შედეგი 18 ქულითა და 17 მოხსნით ეი ჯეი სამბრომ დააფიქსირა, სამი ჰეინს-ჯონსი კი 26 ქულით ბომბარდირი გახდა. ტიტებში ტაილან ბირტსმა 13 ქულა მიითვალა, თეიმურაზ ბაბუნაშვილის ანგარიშზე კი 11 ქულა დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.თსუ	9	6	3	758-739	15
2.ქუთაისი	7	7	0	701-584	14
3.ბათუმი	8	3	5	678-740	11
4.ცხუმი	7	4	3	594-526	11
5.ვერა	8	3	5	606-666	11
6.კაკტუსი	8	3	5	574-620	11
7.ოლიმპი	8	2	6	589-644	10
8.რუსთავი	5	5	0	449-360	10
9.ტიტები	7	3	4	551-561	10
10.დინამო	6	2	4	534-565	8
11.მგზავრები	5	1	4	396-425	6

ტორპედო დარჩა, სამგურალი აღზევდა

ტორპედო-გაგრა 1:1

ქუთაისი. რამაზ შენგელია

1:0 ფანცულაია (30), 1:1 მაქაცარია (76)

ტორპედო: შოვნაძე, მირცხულავა, ნადარაია, გრიგალაშვილი (გიორგაძე 71), ადამაძე, ფურცხვანიძე (გოგუაძე 59), ჯანელიძე, ივანიშვილი (იონანიძე 81), ტუღუში, ციცქიშვილი, ფანცულაია

გაგრა: კერესელიძე, ხოსიტაშვილი, ჩადუნელი, ნოზაძე, კაკიაშვილი (ლაღაძე 56), ხაბელაშვილი, ქობულაძე, ვეკუა (ივანიაძე 56), სულთანიშვილი, ერგემლიძე, მაქაცარია

ქუთაისის ტორპედომ ფლეი აუტის საპასუხო მატჩი შინ 1:1 ითამაშა გაგრასთან და ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

გაგრელები 28 დეკემბერს ელოდებიან – ეს ის თარიღია, როდესაც რიონისპირელებმა ფეხბურთელების დავალიანება უნდა გაისტუმრონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დააქვეითებენ.

ტორპედოს სტუმრად 2:0 ჰქონდა მოგებული და შინაც 30-ე წუთზე დაწინაურდა, როდესაც გიორგი ფანცულაიამ შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

გაშვებულმა ბურთმა გაგრელებს საქმე გაურთულა, რადგან უკვე სამი გოლის გატანა სჭირდებოდათ. მართალია, გაგა კირკიტაძის გუნდმა გაიბრძოლა, მაგრამ მხოლოდ თამაზ მაქაცარიას გოლს გამორჩა.

სამგურალი-ჩიხურა 1:0

წყალტუბო. 26 მაისი

1:0 კუხიანიძე (87)

სამგურალი: მეშველიანი, ქურდაძე, პატარკაციშვილი, ბურჯანაძე, კიკაბიძე, რაზმაძე, ტურე, გაზდელიანი, ჩიხლაძე (ახვლედიანი 65), ფონიავა (ბანძელაძე 88), კუხიანიძე

ჩიხურა: ზარქუა, ჩიკვაიძე (ბუხაიძე 63), ჯაფიაშვილი, ბასტრონი, კორიფაძე, კახაბრიშვილი, ბერეზოვი, გვაზავა (მაჩაიძე 81), ჯავაშვილი, დეკანოიძე (შარვაძე 88), კიკაბიძე

2002 წლის შემდეგ წყალტუბოს სამგურალი საქართველოს ჩემპიონატის ელიტარულ ლიგაში ითამაშებს, ხოლო საჩხერის ჩიხურა 2012 წლის შემდეგ პირველად დაქვეითდება.

ფლეი აუტის საპასუხო მატჩში უჩა სოსიაშვილის გუნდმა სერგო კუხიანიძის ერთადერთი გოლით დაამარცხა მეტოქე და დამსახურებულად მოიგო. სამგურალს პირველი შეხვედრაც მოგებული ჰქონდა (2:0), თანაც სტუმრად, რაც ზემო იმერლების საქმეს ართულებდა. თუმცა, სამგურალს არც დღეს დაუტოვებია კითხვის ნიშნები.

ჩიხურა ცდილობდა ორრაუნდიანი მატჩის გადარჩენას, მაგრამ განსაკუთრებული ხიფათი მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოახერხა, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

საერთო ჯამში, სამგურალი აღზევებას იმსახურებდა. ეს არა მარტო ფეხბურთელების, არამედ უჩა სოსიაშვილის დამსახურებაც არის. ახალგაზრდა სპეციალისტს უკეთესი მიღწევებიც აქვს – 2015 წელს გორის დიდა აჩემპიონა...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ზაზა ნადირაძე პრეზიდენტია

კანოეს ეროვნულ ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. დავით ქაცარავას ნაცვლად, ფედერაციას ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე უხელმძღვანელებს.

თანამდებობის მიუხედავად, ნადირაძე აქტიურ სპორტში მოღვაწეობას აგრძელებს.

ზაზა ნადირაძე:

– დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ დელეგატს გამოცხადებული ნდობისთვის. ასევე დიდი მადლობა დავით ქაცარავას იმ რთულად, მაგრამ ამავდროულად წარმატებულად განვლილი 8 წლისთვის. მადლობა თქვენ, თითოეულ ჩემს გულშემატკივარს გვერდში დგომისთვის. აქვე აღვნიშნავ, რომ ვრჩები აქტიურ სპორტში და ვაგრძელებ შრომას ჩვენი ქვეყნის წარმატებისთვის.

ნადირაძეს პრეზიდენტობა მიულოცა თავად ქაცარავამ და მომავალში წარმატებები უსურვა.

დავით ქაცარავა:

– ზაზა ნადირაძე! კანოეს მსოფლიო ვარსკვლავი! ვულოცავ მას პრეზიდენტობას და ვუსურვებ წარმატებებს! დარწმუნებული ვარ, ზაზა ისეთივე წარმატებული პრეზიდენტი იქნება, როგორიც სპორტსმენია!

სამგლოვიარო განცხადებები

ნელი სიმსივე-ენუქიძის გამოსათხოვარი

ჩემო სიყრმის, ყველასათვის უტყუარო მეგობარო, დღეს 40 დღე გადის, რაც შენ ზეციური საქართველოს ბინადარი გახდი. უფალს ისე უყვარდი და შენც მუდმივად უფალზე ლოცულობდი, დარწმუნებული ვარ, შენი აქაური ცხოვრების ჯოჯოხეთის შემდეგ აუცილებლად სამოთხეში იქნები.

ბედისწერამ მწარედ გიმუხთლა. სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდი ორ შვილთან ერთად და მარტოს მოგიწია, ცალუღელა ხარივით ჭაპანის გაწევა. თხემით-ტერფამდე უანგარო და პატიოსანი იყავი. სამწუხაროდ, შენს ნინიკოსაც ადრე მოუწია დაქვრივება, მასაც ორ შვილთან ერთად, რასაც ძალიან განიცდიდი. დიდება უფალს, მას შენი სიძის ოჯახი უდგას გვერდით. შენი შოთიკო, რომელზედაც მზე და მთვარე ამოგდიოდა, აქაც, მადლობა უფალს, შენს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შენთან იყო.

ჩემო ნელი, შენ სხვა ვერაფერი მოგერეოდა, რომ არა „კოვიდი“, რითაც შენი ამქვეყნიური ჯოჯოხეთი დასრულდა. შენ არც სიკვდილში გქონია ბედი, რადგან ისე ვერ გაგისტუმრეთ, როგორც შენ გეკუთვნოდა და იმსახურებდი.

მსუბუქი იყოს ის მიწა, რომელიც გულზე დიდი ტკივილით მოგაყარეს.

შენი ერთგული მეგობარი – მეჯვარე,
გულდათუთქული ნარგიზა (დოჩია) ლომთაძე

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. გულის ნადები, საიდუმლო; 4. ნივთიერება, რომელიც დენს არ ატარებს 5. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწაული ესპანეთსა და ლათინურ ამერიკაში; 11. მსხვერპლად შეწირული რამე; 14. თირკმლისზედა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული ჰორმონი; 15. კაფებარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 17. ღია, გაშლილი ადგილი მთებს შორის; 19. იტალიური რესტორანი; 21. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი.

თარაზულად: 1. მრავალსართულა კარსტული მღვიმე იმერეთში; 5. მუსლიმთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 13. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 16. ქალაქ ფოთის პირველი მერი; 17. ხბოს, თხის ან ცხვრის ტყავისგან დამზადებული ღვინის, არყის ჩასასხამი ჭურჭელი; 18. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 20. ჩინური ნავთობკომპანია; 22. ნაქსოვი ფეხსამოსი; 23. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. ხელოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩხვიმიანი; 2. ჭინჭილა; 3. კენედი; 4. არათი; 5. ივერია; 11. ბიბლია; 12. შატილი; 14. კილი; 16. სორენტო; 17. ბრიდემო; 19. მორავია; 21. ბადრო; 22. იტამი.

თარაზულად: 6. ახალციხე; 7. შარტავა; 8. თეთრა; 9. ამბაზი; 10. დერბი; 13. შნეკი; 15. ესკალატორი; 18. ხაშლამა; 20. რალი; 21. ბორნეო; 23. ნოქალაქევი; 24. მიზერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ექოლოტი; 3. ეპიტაფია; 4. ადაპტაცია; 5. მღილი; 6. ოსკარი; 8. არაქსი; 11. ლიქიორი; 14. ექსტერიერი; 15. წერეთელი; 16. რეზონანსი; 17. ყაურმა; 19. ალფონსი; 21. ტონგა; 22. ფაუნა.

თარაზულად: 1. პენელოპა; 5. მუცო; 7. ფრანკი; 9. მოდიფიკაცია; 10. კალმარი; 12. არაქისი; 13. ბოცვერი; 16. რარიტეტი; 17. ყავა; 18. განჯა; 20. ევერტონი; 22. ფლეში; 23. კოლომბო; 24. ნადური; 25. გოგრა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2747

ევრო — 4.0135

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.4264

100 რუსული რუბლი — 4.4449

ამინდის პროგნოზი 21 დეკემბრისათვის

სერხიო აგუერო: „ტრავმა ჯერ ბოლომდე არ მომიშუშებია“

მანჩესტერ სიტის ფორვარდმა სერხიო აგუერომ იმაზე ისაუბრა, თუ რატომ არ თამაშობს ის უფრო ხშირად და თქვა, რომ ეს ტრავმის ბრალია და მას ჯერ ბოლომდე არ მოუშუშებია კუნთზე დაზიანება:

– არ მინდა, რომ გავრისკო და დროზე ადრე დავბრუნდე მოედანზე, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლოა ტრავმა გავიმიზეზო, რაც ნამდვილად ცუდი იქნება. მინდა, როდესაც მოედანზე გამოვალ, ბოლომდე მზად ვიყო და მანჩესტერ სიტის მაქსიმალურად დავეხმარო.



ნეიმარი მოედანზე ერთ თვეში დაბრუნდება

პსჟ-ს ფორვარდი ნეიმარი მოედანზე ერთ თვეში დაბრუნდება, რადგან მისი ტრავმა ისეთი სერიოზული არ აღმოჩნდა, როგორც ამას თავიდან ვარაუდობდნენ. ნეიმარს კოჭის დაზიანება აქვს, რომელიც მას ადრეც აწუხებდა და ბრაზილიელმა ოპერაციაც გაიკეთა ამ მიზეზის გამო.

ამჯერად ნეიმარს კვლავ მოუწევს იძულებითი დასვენება და ის, სავარაუდოდ, ბრაზილიაში გაემგზავრება, სადაც მას პირადი ექიმი ჰყავს.

ლიონმა დეპაი, შესაძლოა, 10 მილიონად დათმოს

ლიონმა იანვარში თავისი ჰოლანდიელი ფორვარდი მემფის დეპაი, შესაძლოა, 10 მილიონად დათმოს, რადგან დეპაის ზაფხულში კონტრაქტი უთავრდება და ის მის გახანგრძლივებას არ აპირებს. ლიონს მისი უფასოდ დაკარგვა არ სურს, ამიტომ, ბუნებრივია, ფრანგები მის გაყიდვას შეეცდებიან.

ბარსელონას დეპაის დამატება უკვე ზაფხულში სურდა, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი გარკვეული მიზეზების გამო ჩაიშალა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ოჯახურმა წყვილმა ბაღში ოქროს მონეტები იპოვა

ბრიტანეთის ნიუ-ფორესტის რეგიონში ოჯახურმა წყვილმა ბაღის სარეველებისგან გაწმენდის დროს უძველესს განძს მიაგნო.

მიწაში ჩამარხული იყო 63 ოქროს და ერთი ვერცხლის მონეტა. ექსპერტების შეფასებით, ამ აღმოჩენის საბაზრო ღირებულება დაახლოებით 220 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ოქროს მონეტების უმრავლესობაზე ურჩხულთან მებრძოლი წმინდა გიორგია გამოსახული. ყველაზე ძველი მონეტები ინგლისის მეფის ედუარდ IV-ის მმართველობის დროინდელია, რომელმაც ხელისუფლება ხელში 1461 წელს წითელი და თეთრი ვარდების ომის დროს ჩაიგდო. ყველაზე გვიანდელი კი მეფე ჰენრიხ VIII-ის ეპოქისაა, რომელიც 1547 წლამდე მეფობდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

21 დეკემბრისათვის

ვერძი – პასიური დღეა. თუ სისუსტეს გამოიჩენთ, ეს თქვენს წარმატებაზე უთუოდ აისახება. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კურო** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **ტყუპები** – აგრესიულობა და ლიდერობისკენ სწრაფვა კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – კომერციული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. გარისკეთ. არ ინანებთ. ეს ყველაფერი თქვენს შემოქმედებით ზრდასა და ავტორიტეტზე დადებით გავლენას მოახდენს. **ქალწული** – მშობლებისა და ბავშვების მიმართ მეტი ლოიალობა გამოიჩინეთ. ეს დღე ერთგვარი გამოცდა იქნება. **სასწორი** – მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება. ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – დაისვენეთ და გაერთეთ მშვიდ გარემოში. საღამოს საინტერესო ახალ ამბავს გაიგებთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **თხის რქა** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით წაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – თუ საჭიროდ მიიჩნევთ, ბოდიშიც მოიხადეთ. დათმობა, მიმტევებლობა, ლოიალობა დღის დევიზია.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ეკითხება:

– ძვირფასო, სად იყავი?

– დავრბოდი, ვვარჯიშობდი.

– უცნაურია, და მაისურს ოფლის სუნი საერთოდ არ ასდის... ძვირფასო, რატომ გაფითრდი? პირბადეს, სახლში, რატომ იკეთებ? სად რეკავ?!

●●●

პატარა ბავშვმა მამასთან მიირბინა და ატირებული ეუბნება:

– მამიკო, მამიკო, ბებიამ ხელზე მიკბინა:

– შენი ბრალია, რატომ შეყავი ხელი გალიაში!

●●●

ცოლი ქმარს ეშმაკური ღიმილით ეკითხება:

– სიმპათიურ ფერადკანიანთან სექსს ისურვებდი?

– რა თქმა უნდა?

– მაშინ სოლარიუმისთვის ფული მომეცი!

●●●

სიდედრი სიძეს ეუბნება:

– ვეჭვობ, რომ ჩემი სიკვდილი გინდა.

– მერე ცუდს რატომ ფიქრობ? იქნებ იქ უკეთესია!

●●●

მეზობელი მამაკაცი მეზობელ ქალს ეკითხება:

– ამ საღამოს რას აკეთებთ? ოღონდ სხვანაირად არ იფიქროთ... და თუ იფიქრებთ, ამ იდეაზე რა აზრის ხართ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სოხუმის თეატრი დააჯილდოვეს

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის თეატრი გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიით დააჯილდოვეს. დაჯილდოების ცერემონია ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში გაიმართა.

სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს ჯილდო საზეიმოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა გადასცა.

გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემიის 2020 წლის ლაურეატი სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი გახდა სპექტაკლისთვის „მთვარის მოტაცება“. წარმოდგენის რეჟისორი გოჩა კაპანაძეა, ინსცენირების ავტორი – თამაზ გოდერძიშვილი, მხატვარი – ანა ნინუა.

ნატო გელაშვილი: „დავამარცხოთ ერთად ნეგატივი“

ამას სთხოვს ყველას მომღერალი ნატო გელაშვილი და სჯერა, რომ ქართველებს ერთმანეთის გატანის იმუნიტეტი გვაქვს:

– ძალიან მარტივია, ალბათ, და თან ძალიან რთული, უანგაროდ გიყვარდეს ადამიანები. არ იყოს ურთიერთობები გაფერუმარილებული, გაგრიმული და არ იშლებოდეს ასფალტზე ცარცით დაწერილი „მიყვარხარ“ თავსხმა წვიმით. ჩვენს ერს ხომ სიყვარულის იმუნიტეტი აქვს, სიყვარულის და ერთმანეთის გატანის იმუნიტეტი.

ჰოდა, დავამარცხოთ ერთად ნეგატივი, რაც მეფობს დღეს. უბრალოდ, უანგაროდ გვიყვარდეს ერთმანეთი. თუ ვერ შევიყვარებთ, პატივი მაინც ვცეთ ერთმანეთს. ნუ დავემსგავსებით ღვარძლს, ზიზღს, გაუტანლობას. ვგავდეთ სიყვარულს თავად და გაცრეცილ სიტყვად ნუ დავტოვებთ. მინდა, რომ გვიყვარდეს, პატივი ვცეთ და გვეიმედებოდეს ერთმანეთი.

ლევან გელბახიანი: „უარი ვთქვათ გაუბედურებული ქუჩების მორთვაზე“

მსახიობი ლევან გელბახიანი აცხადებს, რომ უარი ვთქვათ გაუბედურებული ქუჩების მორთვაზე, გაჭირვებულ ადამიანებს დავეხმაროთ:

– გაბრაზებული ვარ ყველაზე, ჩემს თავზე და ჩემს „ფრენდებზეც“. ავსებულია ამ ნაძვის ხის ფოტოებით სოციქსელი. უმეტესობა ტაშს ვუკრავთ და იმ ბუა მერის ეგოს, გაუაზრებლად ველაქუცებით. კი, ლამაზია ნაძვის ხე, ცაზე გამოკიდებული განათებაც. სამწუხაროდ, უგემოვნობას წელსაც არ ვუჩივით და ჩავდგით: ეიფელი, ბიგბენი, პიზის კოშკი, კონკიას ეტლი. კოსტავაზე ანგელოზის „პეჩენიები“ ჩამოვკიდეთ და ასე შემდეგ.

მაგრამ რა ვერ გამიგია იცით? თუ იმას ვატრაკებთ, რომ ყველანი ვართ თანასწორი, მაშინ რა დააშავა საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებმა? აა თუ ზესტაფონის, ლანჩხუთის, ონის მცხოვრებელს არ სჭირდება ლამაზი ნაძვის ხე? თუ ზესტაფონელი როა რა ეახალწლება? სიღარიბე ყველაზე დიდი პრობლემაა, მგონია საქართველოში, რასაც სერიოზულად ამწვავებს ცენტრალიზაციის პოლიტიკაც.

ყველაფერი თბილისში გვინდა. კინო, თეატრი, აუზი, სკოლა, მაღაზია, სკვერი, ყველაფერი თბილისში გვინდა. მათ შორის, ახალი წელიც და ჩვენი ბეყე მერი, ახალ წელს გააკეთებს საყოველთაო მიმართვას, ნაძვის ხის ქვეშ დადგება და მიულოცავს ერს ახალ წელს ტელევიზიით, რომელსაც დიდი ნაწილი ვერ მოისმენს: უშუქობის, უტელევიზორობის და უფულობის გამო.

მიულოცავს აფრიკის მოსახლეობასაც და მეორე დღეს ჩამოუნგრევს კედლებს, მაგრამ ჭორვილიდან მოსკოვამდე გაცვეთილს 1 ლარად გადასცემს ნახევარ თბილისს.

ვერ შევდგებით საზოგადოებად თუ მარტო ჩვენი ფოტოგალერიიდან ვუყურებთ ქვეყანას. წესით უნდა ვატრაკებდეთ და უარი ვთქვათ გაუბედურებული ქუჩების მორთვაზე. ეს ფული, თან ამდენი ფული, კეთილ საქმეს მოხმარდეს, გაჭირვებულ ოჯახებს, უსახლკარო ადამიანებს.

დავეხმაროთ ჩვენს თანამოქალაქეებს და ტაში არ ვუკრათ იმათ, ვინც ჩვენს ფულს თავისნებაზე ფლანგავს და კიდე აქეთ სახლებს გვინგრევს.

ლინდა ადამია ავარიაში მოყვა

მომღერალი ლინდა ადამია ავარიაში მოყვა და ის და მისი მეგობარი სასწაულებრივად გადარჩნენ:

– რომ არა ბარბარობის დღესასწაული, ამ ყველაფერს ვერ დავწერდი. ამ დღის მადლია, რომ მე ახლა ცოცხალი ვარ. საშინელ ავარიაში მოვყევით მე და ჩემი მეგობარი, დაკუჭული მანქანიდან ამოგვიყვანეს ფაქტობრივად. მცირედი დაზიანებებით, აირბაგის გახსნამ და ღვედმა გადაგვარჩინა, თორემ საქარე მინას თავით გავიტანდი. მადლობა ყველა იმ პატრულის თანამშრომელს და უამრავ ეკიპაჟს, ვინ ჩვენზე იზრუნა. ერთი წამი და აღარ ხარ ადამიანი. ყველას ჯანმრთელობას გისურვებთ და მალე დასრულდეს ეს ჯოჯოხეთური 2020 წელი. ახლა უკეთ ვარ და ძალიან გთხოვთ, იყავით ფრთხილად! ნუ გაწირავ შენს ან სხვის სიცოცხლეს.

ოთო ნემსაძე სასტუმროებში კონცერტების ჩატარებას ითხოვს



მომღერალი ოთო ნემსაძე სასტუმროების დამსვენებლებისთვის კონცერტების ჩატარებას ითხოვს:

– ამიხსნას ვინმემ თუ სასტუმროებში ადამიანების დასვენება შესაძლებელია, სადაც ყველა ყოველდღე ერთმანეთს ხვდება, რატომ არ შეიძლება ჩემი 50-კაციანი კონცერტი ამავე სასტუმროში?!

ხმას არ ვიღებ ამდენი ხანია, ვემორჩილებით ყველა რეგულაციას, ვემიჯნები პოლიტიკურ აურზაურს, მართლა მშივრები ხო არ დავიხოცებით?

ან ის ხალხი მაინტერესებს, საახალწლო კონცერტების გამო რო გვლანძღავს და თვითონ ერთი წელი სახელმწიფო სამსახურიდან ხელფასს რომ იღებს. მე რა ვქნა, არც თვითდასაქმებულშიც რომ ვერ გავდივარ. ამიხსნას ვინმემ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 2. დიდად განსწავლული, მრავალმხრივ განათლებული ადამიანი; 3. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. ყოველკვირეული ქართული ჟურნალი; 5. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 11. ეგრისის სამთავროს ნაწილი შავი ზღვის სანაპიროზე; 12. ინფექციური დაავადების გამავრცელებელი ჩხირისებრი ბაქტერია; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირებისთვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ქირურგიული დანა; 17. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. მაღალხარისხოვანი მინა; 22. ყვავილის ცენტრალური ნაწილი.

თარაზულად: 6. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 7. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 8. ბეჭედში, ბროშში ჩასმული ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია ორნამენტი ან წარწერა; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე დარგში; 15. საერთო სახალხო რეფერენდუმი; 18. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 20. მონღოლთა მომთაბარე ლაშქარი; 21. ფრანგული პური; 23. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე ადამიანი; 24. პატარა კაფე გერმანიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა